საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა"-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

- — ერთა ლიგის სესიამ გერმანიის ლიგაში მიღება სექტემბრამდე გადასდო.
- — გერმანიის დელეგაცია ბრუნდება ჟენევიდან.
- — მაროკოში აჯანყებულები იერიშებს ანვითარებენ. აჯანყებულთ 300 სირიელი შეუერთდა.
- — დამასკში საფრანგეთის ჯარების და აჯანყებულების შეტაკების დროს დიდძალი ხალხი დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 18 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 61 (1516)

საბჭოთა ხელისუფლების მეხუთე წლისთავი აჭარისტანში

აჭარისტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს

გულითადი და მხურვალე სალამი აჭარისტანის მშრომელ ფუხარა ხალხს საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის თავზე.

ძმებო და ამხანაგებო, მე ბედნიერება მქონდა სწორედ ამ ხუთი წლის წინედ საქართველოს საბჭოთა მთავრობის სახელით პირველად მომელოცნა აჭარისტანის ფუხარა ხალხისათვის მენშევიკების ულისაგან განთავისუფლება. ეს იყო იმავე დროს ევროპის მტაცებელ და მჩაგვრელ იმპერიალისტებიდანაც თავის დაღწევა. საბჭოთა საქართველოდან თქვენდამი პირველად მომართული სიტყვა იყო და არის სიტყვა ძმობისა და ერთობისა.

ვიცოდით რა ის თავისებური პირობები, რომლებშიაც აჭარელი მშრომელი ხალხი, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, სცხოვრობდა და რამდენიმედ დღესაც სცხოვრობს, ჩვენ საქვეყნოდ განვაცხადეთ, რომ თუმცა აჭარისტანი განუწყვეტელი კავშირით გადაბმულია საბჭოთა საქართველოსთან, როგორც შვილი თავის დედასთან, მაგრამ მშრომელი ხალხის თავისუფალი განვითარების და წინსვლის უზრუნველყოფისთვის საჭიროა, რომ აჭარისტანს ქონდეს **ავტონომია ანუ ნამდვილი ხალხური თვითმართველობა საბჭოთა ხელისუფლების საფუძველზე.** მას შემდეგ აჭარისტანი წარმოადგენს **ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას,** რომელიც განუწყვეტელი კავშირით არის გადაბმული საბჭოთა საქართველოსთან.

ამ ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა აჭარისტანი თანდათან გამოცოცხლდა და მოღონიერდა. ძველი ჭრილობები მას მოუშუშდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში არ იყო მეორე კუთხე, რომელსაც იმოდენა წვალება და ტანჯვა, იმდენი შეურაცხყოფა და დამცირება, იმოდენი დარბევა და აკლება აეტანოს მეფობის, იმპერიალისტური ომის და მენშევიკების ბატონობის დროს, როგორც ეს ყოველივე წილად ხვდა აჭარისტანის დაბეჩავებულ და დამონებულ გლეხკაცობას. მას ერთნაირად აწვალებდენ და ახრჩობდენ შინაური და ოსმალელი ფაშები და ბეგები, რუსის მოხელეები და გენერლები, ქართველ მენშევიკების კომისრები, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების აგენტები.

ყველა ამის გამო აჭარელი გლეხკაცობა დიდ უბედურებას განიცდიდა და მისი მშველელი არსად იყო.

მას ყიდდა და ღალატობდა ყველა: დაწყებული თავისი საკუთარი ბეგებიდან და გათავებული ქართველ მენშევიკებით. არავინ ფიქრობდა მის ყოვლად უმწეო, გაუბედურებულ და დამონებულ მდგომარეობაზე. აჭარისტანის გლეხ-კაცობა დაღუპვის კარამდე იყო მისული. ამ დროს გამოჩნდა მისი მხსნელი **წითელი ჯარი და მასთან საბჭოთა ხელისუფლებაც.**

საბჭოთა ხელისუფლება მოევლინა აჭარელ გლეხ-კაცობას, ფუხარა ხალხს, როგორც მშრომელი დედა. საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა დედობრივ მზრუნველობას ფუხარა ხალხისათვის და, მიუხედავად ზოგიერთ შეცდომებისა, საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი წლის მუშაობით გამოიყვანა აჭარისტანის მთელი მშრომელი ხალხი აღორძინების და წინსვლის გზაზე. აჭარელმა გლეხმა პირველად და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამოისუნთქა თავისუფლად.

აჭარისტანის სოფელში პირველად შეანათა განათლების შუქმა, ეს შუქი მისწვდა, როგორც ვაჟს, ისე ქალს, როგორც ახალგაზრდას, ისე მოხუცს. პირველად იგრძნო თავისუფლება აჭარელმა ქალმა, იგი იშორებს თავიდან ჩადრს,—მონობის ნიშანს. აჭარელი ქალი გრძნობს დღეს, რომ იგიც ადამიანია, რომ მასაც აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს საქმეებში, ხალხის მართვა-გამგეობაში. ვის შეუძლია უარყოს ამ ამბის დიადი მნიშვნელობა! პირველი ნაბიჯები ხალხის გონებრივ დაბეჩავებისაგან დასახსნელად და მისი ნივთიერი კეთილდღეობის წარსამატებლად უკვე გადადგმულია: ესაა სკოლები, გზები, ხიდები, კოოპერატივები. ამას უნდა მოყვეს შემდეგი ნაბიჯები, სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სოფლის ნაწარმოებისთვის ბაზრის მოსაპოვებლად. შემდეგ ქარხნები, ფაბრიკები, ელექტრონის ძალა და სხვ. და სხვ. ყველა ამ დარგში მუშაობა დაწყებულია და წარმატებითაც მიმდინარეობს.

კიდევ ორი-სამი წლის ასეთი მუყაითი, ასეთი ენერგიული მუშაობა, და დღევანდელი ღარიბ-ღატაკი ფუხარა აჭარისტანი ძლიერ მოკლე ხანში სრულიად გამოიცვლება.

ჩვენ ამის სრული იმედი გვაქვს, ჩვენ აღფრთოვანებით ველოდებით აჭარისტანის აყვავებას, მის აღორძინებას გონებრივად, კულტურულად და ეკონომიურად.

ჩვენ მოწოდებული ვართ, რომ ამ აყვავებას და ამ აღორძინებას მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმაროთ, ხელი შეუწყოთ. ამით ჩვენ დავაჩქარებთ სოციალიზმის განხორციელებასაც.

ვუსურვებ აჭარისტანის მშრომელ ხალხს სრულ წარმატებას და გამარჯვებას.

გაუმარჯოს ჩვენ ძმურ კავშირს და ერთობას!

გაუმარჯოს აჭარისტანის ფუხარა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—

ფ. მახარაძე

მდგომარეობის გართულება ჩინეთში

იმპერიალისტურ სახელმწიფოების ულტიმატუმი

იმპერიალისტები ჩინეთში ინტერვენციას ამზადებენ

სახალხო არმიის ჯარები საერთო შეტევაზე გადავიდენ

დაწვრილებითი ცნობები ტაკუს ინციდენტის შესახებ

პეკინი, 16 მარტი. პირველი სახალხო არმიის სარდლობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განმარტება ტაკუს ინციდენტის შესახებ. მთელ პასუხისმგებლობას სარდლობა იაპონელებს აკისრებს.

განმარტებაში ნათქვამია, რომ 12 მარტს იაპონიის საკონსულომ ტიანძინში აცნობა სახალხო არმიის შტაბს, რომ იმ დღეს იაპონიის ერთ-ერთი ნაღმოსანი შევა მდინარეში ნავთსადგურიდან. ამის გამო ტაკუს გარნიზონის უფროსმა მოახდინა განკარგულება ნაღმოსანის გაშვების შესახებ. მაგრამ **იაპონიის ნაღმოსანი გამოჩნდა მეორე ნაღმოსანის თანხლებით. მეორე ნაღმოსანი შეიძლებოდა ყოფილიყო მტრის გემი, რადგან მუკდენის გემები ბოროტად სარგებლობენ უცხოეთის დროშებით.**

სიფრთხილის გამო გარნიზონის უფროსი იძულებული იყო მოეთხოვა, რომ მეორე ნაღმოსანი გაჩერებულიყო. ნაღმოსანი მოვიდა მდინარის შესართავში დილის 4 საათზე, მაშინ როდესაც იაპონიის ელჩის ცნობით იგი იქ უნდა მოსულიყო დილის 10 საათზე. ასეთ პირობებში გარნიზონის უფროსს არ შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მოსული იაპონური გემები სწორეთ ის გემები არიან, რომელთა შესახებ ის გაფრთხილებული იყო.

იმის მტკიცება, რომ ჩინეთის ჯარებმა პირველად ასტეხეს სროლა, სინამდვილეს არ შეეფერება. ჩინეთის ჯარებმა სავარჯიშო ყუმბარები გაისროლეს ნაღმოსნების გასაფრთხილებლად. იაპონიის ნაღმოსნებმა ჩასთვალეს ეს მტრულ აქტად და ფორტს ტყვიისმფრქვეველი დაუშინეს და 10 ჩინელი ჯარისკაცი მოჰკლეს.

სახელმწიფოების ულტიმატუმი

პეკინი, 16 მარტი. ჰოლანდიის ელჩმა უდენდაიკმა იმ სახელმწიფოების სახელით, რომელთაც ხელი უწერიათ ბოქსიორთა ხელშეკრულებაზე, გადასცა ჩინეთის მთავრობას ულტიმატუმი ტაკუში მომხდარ ინციდენტის გამო.

ულტიმატუმი პასუხისგებას ინციდენტისათვის აკისრებს ჩინეთის მთავრობას და მოითხოვს: ყოველგვარ საომარ მოქმედების შეწყვეტას ტაკუ-ტიან-ძინის არხში; ნაღმები და სხვა დაბრკოლებანი ამოღებული უნდა იქნას; მეომარ მხარეების სამხედრო გემები უნდა დარჩენ ტაკუს ნავთსადგურის ფარგლებს გარეშე და არ უნდა ჩაერიონ ნაოსნობაში; გემების ყოველგვარი დათვალიერება გარდა საბაჟოსი, შეწყვეტილ უნდა იქნას.

თუ ყველა ჩამოთვლილი პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული 18 მარტის შუადღემდე, უცხოეთის ფლოტილიების კომანდირები უკვე გაცემულ ბრძანების თანახმად, მიიღებენ ზომებს იმ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ ნაოსნობას ტიანძინსა და ზღვას შორის.

ინტერვენცია მზადდება

პეკინი, 16 მარტი. ჩინეთის წრეების საერთო აზრით, ულტიმატუმის წარმოდგენა სახელმწიფოებმა შეარჩიეს სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში, როდესაც მას უნდა გაემარჯვებია ჟან-ძო-ლინის მომხრე—ჩან-ძუნ-ჩანის ჯარებზე.

ჩინეთის წრეებში ფიქრობენ, რომ **სახელმწიფოები ამზადებენ ინტერვენციას, რათა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენონ სახალხო არმია, არ მისცენ მის მოწინააღმდეგეზე გამარჯვების საშუალება და დახმარება გაუწიონ მუკდენის ჯარებს.**

ულტიმატუმი გამოიწვევს მთელი ხალხის აღშფოთებას.

სახელმწიფოების საზღვაო ძალები ჩინეთში

პეკინი, 16 მარტი. ამჟამად ტაკუში და ტიან-ძინში დგანან შემდეგი გემები: ინგლისის 2 გემი, ამერიკის—2, იტალიის—1, საფრანგეთის—1, იაპონიის—6.

მოელიან კიდევ ორ ინგლისურ გემის ჩამოსვლას.

მანილიდან ტაკუში გავიდა ამერიკის ფლოტის 6 ნაღმოსანი.

პირველი სახალხო არმიის შეტევა

პეკინი, 16 მარტი. 14 მარტს პირველი სახალხო არმია გადავიდა საერთო შეტევაზე ტან-ჩოუს წინააღმდეგ. შეტევა ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

მეორე სახალხო არმიის ნაწილებმა გასწმინდეს ხო-ნანის პროვინცია და ნაწილობრივ შენ-სინის პროვინციაში შევიდენ.

პოლონეთის ამბები

პოლონეთი ვაჭრობს თავისი მონოპოლიებით

ვარშავა, 16 მარტი. დაბრუნდა პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი კლარნერი, რომელიც წასული იყო იტალიაში მოსალაპარაკებლად სესხის შესახებ. სესხი უზრუნველ უნდა ყოფილიყო თამბაქოსა და სპირტის მონოპოლიების იჯარით. გაზეთ „რეჩ პოსპოლიტას" ცნობით ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ამუნიციის გატაცება

ვარშავა, 16 მარტი. ამ დღეებში ვარშავის ციხის სამხედრო საწყობებიდან უცნობებმა გაიტაცეს დიდძალი ამუნიცია.

მიუხედავათ პოლიციის და სამხედრო ნაწილების მეცადინეობისა, არ მოხერხდა გატაცების მონაწილეთა აღმოჩენა.

ხმების თანახმად უცნობებმა გაიტაცეს აგრეთვე დაახლოვებით 4.000 ცალი ხელით სასროლი ყუმბარა.

ბელგიის ფრანკი

ლონდონი, 16 მარტი. ინგლისის ფინანსიური წრეები ფიქრობენ, რომ ბელგიის ფრანკის დაცემა დაკავშირებულია ბელგიის მიერ დაწყებულ მოლაპარაკებასთან საგარეო სესხის დების შესახებ. ინგლ. და ამერიკის ბანკირებმა წამოაყენეს უფრო არახელსაყრელი პირობები, ვიდრე ეს წინად ეგონათ. ბანკირები მოითხოვენ, რომ სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ბელგიის რკინის გზებით და ახალშენებით.

კომუნისტ. გამარჯვება

ვენა, 16 მარტი. კომპანია „ალპინ-მონტან გეზელშაფტ"-ის ლითონის ქარხნებში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს. შარშან კომუნისტებს არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდათ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში, ეხლა კი მიიღეს 7 ადგილის უფლება.

შრომის მინისტრების კონფერენცია

ლონდონი, 16 მარტი. ლონდონში გაიხსნა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და იტალიის შრომის მინისტრთა კონფერენცია. კონფერენციის მიზანია — შეთანხმების მიღწევა ვაშინგტონის შეთანხმების განმარტებაში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ერთა ლიგაში

დამატებითი ინსტრუქციები

სტოკჰოლმი, 16 მარტი. შვეციის მთავრობამ ორშაბათს თავის დელეგაციას დამატებითი ინსტრუქციები გაუგზავნა.

შვეციის მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ შვეციას ლიგის საბჭოს სხვა დროებით წევრებთან ერთად შეუძლია გამოვიდეს საბჭოდან იმ პირობით, თუ მას შესცვლის სახელმწიფო, რომლის მდგომარეობა შეეფერება შვეციის მდგომარეობას.

ახალი კომბინაციები.

ბერლინი, 16 მარტი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ შეთანხმება ჟენევაში ახლო მომავალში იქნება მიღწეული.

იტყობინებიან, რომ შვეციის გარდა დროებითი ადგილზე საბჭოში უარს იტყვის კიდევ მეორე ნეიტრალური სახელმწიფო, ალბად, ჩეხოსლოვაკია. შვეციის ადგილს დაიჭერს მეორე ნეიტრალური სახელმწიფო, ალბად, ჰოლანდია, ხოლო ჩეხო-სლოვაკიის ადგილს—პოლონეთი.

თუმცა ეს ცნობა ჯერ არ არის ოფიციალურად დადასტურებული, მაგრამ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოს შემადგენლობის საკითხი სწორედ ამგვარად იქნება გადაწყვეტილი.

გერმანიის ლიგაში მიღება სექტემბრამდის გადაიდო

ბერლინი, 16 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის საიდუმლო სხდომის დამთავრების შემდეგ, რომელიც ღამის 11 საათზე დაიხურა, გამოქვეყნდა ცნობა, რომ ერთა ლიგის საგანგებო სესიამ გადასწყვიტა გერმანიის ლიგაში მიღების საკითხი გადასდოს ჩვეულებრივ სესიამდე, რომელიც სექტემბერში შესდგება.

ლიგის საბჭომ ეს ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, რაც ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა: გერმანიამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ გადასწყვიტეს, რომ შეუძლებელია ზოგიერთ პატარა ერებისათვის მიცემულ დაპირებების შესრულება.

კომპრომისი შეუძლებელია

ბერლინი, 17 მარტი. როგორც კი ჩემბერლენი და ბრიანი გამოეთხოვენ გერმანიის დელეგაციას, ჩემბერლენმა, როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 7 სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას, საშუალება არ აქვთ მიიღონ საერთო გადაწყვეტილება. თუნდაც რომ სურდეთ ამ სახელმწიფოებს კომპრომისის გამონახვა, უკანასკნელი მაინც შეუძლებელია.

„ამაოდ არ ჩაუვლია"

ბერლინი, 17 მარტი. ცნობამ, რომელიც ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„ჩვენ სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ მშვიდობიანობის დამყარების ცდებს, რომელიც ლოკარნოში განვითარდა, ამაოდ არ ჩაუვლია".

შემდეგ ცნობა იმედს გამოსთქვამს, რომ ლიგის მომავალი სესია მოესწრება ლოკარნოს იდეის ცხოვრებაში გატარებას.

შთაბეჭდილება ბერლინში

ბერლინი, 17 მარტი. ბერლინის გაზეთები სწერენ, რომ ცნობა ლიგის საგანგებო სესიის უეცრად შეწყვეტის შესახებ „ყუმბარასავით გასკდა".

ჰინდენბურგი ძალიან აღელვებული იყო უკანასკნელი ამბებით ჟენევაში. შვეიცარიის მიერ ნებაყოფლობით განთავისუფლებულ ადგილის დათმობა პოლონეთისთვის შექმნიდა გერმანიისათვის არახელსაყრელ მდგომარეობას.

რეიხსტაგის კულუარებში ფიქრობენ, რომ ვინაიდან გერმანიის მთავარი მიზანი იყო რეინლანდის რაც შეიძლება მალე განთავისუფლება საოკუპაციო ჯარებისაგან, გერმანიის დელეგაციის ნაბიჯი ყოველმხრივ მოწონებული უნდა იქნეს.

ლიუტერის კაბინეტის მდგომარეობა განმტკიცდა

ბერლინი, 17 მარტი. ბერლინში ლაპარაკობენ, რომ ჟენევის სესიის მარცხმა ყოველ შემთხვევაში განმტკიცდა გერმანიის კაბინეტის მდგომარეობა, რადგან სესიის უნაყოფოდ დამთავრებაში გერმანიის დელეგაციას არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

დელეგატები მიემგზავრებიან

ბერლინი, 17 მარტი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, რადგან გერმანიის ლიგაში მიღება გადაიდო, ყველა დელეგატები მიემგზავრებიან ჟენევიდან.

ლოკარნოს პოლიტიკა გაგრძელდება

ბერლინი, 17 მარტი. გერმანიის დელეგაცია დღეს მიემგზავრება ბერლინში.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ლოკარნოს პოლიტიკა გაგრძელდება და ყველა შეთანხმებანი ძალაში დარჩება მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მიღება ლიგაში მომავალ სესიამდე გადაიდო.

გერმანია ბრაზილიას უსაყვედურებს

პარიზი, 17 მარტი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანიის ლიგაში მიღების გადადებამ სენსაცია გამოიწვია. გერმანიის პრესა ბრაზილიას აბრალებს სესიის უშედეგოდ დამთავრებას და ხაზს უსვამს იტალიის ორჭოფულ პოლიტიკას.

ღამის ცნობები

დამსჯელ ექსპედიციის მსხვერპლნი

კაირო, 16 მარტი. თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად საფრანგეთის ხელისუფლებამ დამასკში გადასწყვიტა დაენგრია უბანი „მიდანი", სადაც შარშან ბრძოლა სწარმოებდა აჯანყებულებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის.

მოსახლეობამ გადასწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთის ჯარებისათვის. მოხდა შეტაკება, რომლის დროს დიდძალი ხალხი დაიღუპა.

სამხედრო ოპერაციები მაროკოში

კაირო, 16 მარტი. აჯანყებულებს 300 ქრისტიანი სირიელი შეუერთდა.

იტყობინებიან, რომ აჯანყებულთა წინამძღოლს სალტანელ — ატრაშს მიეშველა ვახაბიტების რამოდენიმე რაზმი.

ჩრდილოეთით ალეპოს რაიონში აჯანყებულებმა სცადეს მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა.

იაპონიის მილიტარისტების და დიპლომატების ბრძოლა

ტოკიო, 16 მარტი. იაპონიის საგარეო სამინისტროსა და საზღვაო სამინისტროს შორის ამჟამად დიდი ბრძოლაა იმის გარშემო, თუ რა ზომები იქნეს მიღებული სახალხო არმიების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წააგავს იმ განხეთქილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგარეო და სამხედრო სამინისტროებს შორის გო-სუნ-ლინის აჯანყების დროს. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში მილიტარისტები დაამარცხებენ დიპლომატებს.

სახალხო კენჭის ყრის სასარგებლოდ

ბერლინი, 16 მარტი. ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების აუნაზღაურებლად კონფსკაციის საკითხის გადასაჭრელად საყოველთაო კენჭისყრის მოხდენის სასარგებლოდ 14 მარტისათვის შეკრებილი იყო 9 მილიონამდე ხელწერილი, რაც უკვე აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც კანონშია გათვალისწინებული.

მანქანების სააღმშენებლო დარგის მუშები არ ნებდებიან

ლონდონი, 16 მარტი. მანქანების სააღმშენებლო კამპანიის გაფიცულმა მუშებმა ხმის დიდი უმრავლესობით გადასწყვიტეს უარყონ მანქანის მშენებელთა გაერთიანებული კავშირის ნაციონალური კომიტეტის წინადადება მუშაობის განახლების შესახებ.

გაფიცულებმა მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ჰკიცხავენ მანქანის მშენებელთა გაერთიანებული კავშირის აღმასკომს, რომელმაც უარი განაცხადა გაფიცვისათვის მხარის დაჭერაზე. 17 მარტისათვის მოწვეულია გაფიცულთა და აღმასკომის გაერთიანებული სხდომა.

ოქტომბრის წინამორბედი

(პარიზის კომუნის 55 წლისთავი

დღეს ჩვენ ვიხსენებთ პარიზის კომუნის 55 წლის თავს. პარიზის კომუნა პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ისტორიული ცდაა, საბჭოთა ხელისუფლების წინამორბედია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ოქტომბრის გამარჯვებაო—ამბობდა ლენინი. ამიტომ ყოველწლივ იგონებს მას საერთაშორისო პროლეტარიატი, კერძოდ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი. და ეს არა იმიტომ, რომ ამას გვავალებს პატივისცემა პარიზის კომუნარებისადმი, რომლებმაც პირველადააფრიალეს პროლეტარული რევოლიუციის დროშა და რომელთა გმირულმა ბრძოლამ განუსაზღვრელი როლი ითამაშა შემდგომი რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში, არამედ იმიტომაც, რომ პარიზის კომუნის გაკვეთილებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლისა და უკვე მიღწეულ გამარჯვებათა განმტკიცებისათვის.

ნაპოლეონ მესამის დროს შექმნილმა ეკონომიურ მდგომარეობამ ნიადაგი მოუმზადა პარიზის მშრომელთა შეიარაღებულ აჯანყებას. მრეწველობის ზრდამ გამოიწვია ერთი მხრივ სოფლიდან გლეხობის დენა ქალაქისაკენ, მეორე მხრივ—ქალაქის ხელოსნების პროლეტარიზაცია მარტო პარიზის მუშების რიცხვი აღემატებოდა ნახევარ მილიონს. ამასთან გაღრმავდა კლასობრივი ბრძოლა. ახალგაზრდა ბურჟუაზია, გატაცებული სწრაფი და იოლი გამდიდრების სურვილით, აწარმოებდა მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციას და სპეკულიაციას მისდევდა. მეტად დაბალი ხელფასი, ხანგრძლივი სამუშაო დღე, შრომის მძიმე პირობები, ცხოვრების სიძვირე აუტანელ მდგომარეობაში აყენებდენ მუშათა კლასს, რომლის უკმაყოფილებას არა ერთხელ მიუღია რევოლიუციონურ გამოსვლების ხასიათი.

ამავე დროს ნაპოლეონ მესამემ ომი დაიწყო პრუსიასთან, რათა თავისი შინაური მდგომარეობა განემტკიც[illegible] და მასების ყურადღება გარეშე მტერზე მიექცია. მაგრამ ამ ომმა გამოააშკარავა მეორე იმპერიის სრული შინაგანი გახრწნილება, საფრანგეთის არმია სასტიკად დამარცხდა. პრუსიის ჯარები პარიზს მიადგენ. პარიზის მუშები შეიარაღდენ და აღდგენ დედა-ქალაქის დასაცავად. 1871 წ. 4 სექტემბერს მონარქია დაეცა და რესპუბლიკა გამოცხადდა. ძალა-უფლება გადავიდა „ნაციონალურ თავდაცვის დროებითი მთავრობის" ხელში.

ამ მთავრობის მიზანს შეადგენდა ბურჟუაზიის ბატონობის შენარჩუნება-განმტკიცება. ამისათვის კი საშიშროებას წარმოადგენდა არა პრუსიის არმია, არამედ პარიზის შეიარაღებული მუშათა კლასი. დროებითმა მთავრობამ, რომ ხელი არ გაეხსნა მუშებთან ბრძოლისათვის, შეკრა პრუსიასთან საფრანგეთისათვის სამარცხვინო ზავი. ამით ბურჟუაზიამ დაგვანახა, თუ რა ღირებულება აქვს მისთვის სამშობლოს: სამშობლო მას მხოლოდ მაშინ სწამს როცა იქ თვითონაა გამეფებული და ყოველთვის მზად არის გაყიდოს ქვეყანა, ოღონდ თავისი ბატონობა შეინარჩუნოს. ასევე მოიქცენ რუსეთის და საქართველოს (როგორც სხვადასხვა რესპუბლიკებისაც) ბურჟუაზია და მისი აგენტები, როცა ძალა-უფლება მუშათა კლასმა იგდო ხელთ. პარიზის კომუნის ერთ-ერთი გაკვეთილი მდგომარეობს ბურჟუაზიის მიერ სამშობლოს გამყიდველობის გამოაშკარავებაში.

პარიზის მშრომელთა აჯანყება სამშობლოს გამყიდველ ბურჟუაზიის წინააღმდეგ აუცილებელი შეიქნა. აჯანყების საბაბად გახდა ტიერის (დროებითი მთავრობის მეთაურის) ცდა განეიარაღებია მუშათა კლასი. ამ ცდამ ფეხზე დააყენა პარიზის მთელი მშრომელი მასა. ბურჟუაზიული მთავრობა დამხობილ იქნა და გაიქცა ვერსალში (პარიზიდან 30 ვერსის მანძილზე მდებარე ქალაქი), საიდანაც პრუსიელების დახმარებით დაიწყო ბრძოლა რევოლიუციონური პარიზის დასაპყრობად.

ამავე დროს პარიზის მუშათა კლასი, რომელმაც 1871 წ. 18 მარტს გამოაცხადა კომუნა, შეუდგა თავის ძალა-უფლების ორგანიზაციას. მოხდა კომუნის არჩევნები. კომუნამ შეაიარაღა ხალხი და გააუქმა მუდმივი არმია, განახორციელა ყველა თანამდებობის პირთა არჩეულობა, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან და საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია. ეკლესია ჩამოაშორა სკოლას. გაქცეულ ბურჟუაზიის ფაბრიკები გადასცა მუშათა კოოპერატიულ ამხანაგობებს და სხ.

კომუნამ იარსება 72 დღე. ვერსალის კონტრ-რევოლიუციონერები, რომელთა ძალები შეივსენ გლეხებით, კომუნარებთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ, 21 მაისს შეიჭრენ პარიზში. წარმოუდგენელია ის ბოროტი შურისძიება და სიმხეცე, რომელიც გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ გამოიჩინა. განურჩევლად ხვრეტდენ ყველას, ვინც მოხვდებოდათ. არ დაუნდვიათ ქალები, ბავშვები, მოხუცებულები. კომუნისათვის დაიღუპა 70.000 მეტი კაცი. გარდა ამისა 8.000 გადასახლებულ იქნა. 5.000 კაცი ციხეში ჩაჰყარეს.

ასე აგებიეს პასუხი პარიზის მუშებს იმისათვის, რომ მათ მოინდომეს თავისი ძალაუფლების დამყარება. პარიზის კომუნა სისხლში იქნა ჩახრჩობილი, მაგრამ მშრომელთა ამ ზღვა სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია. ეს იყო პირველი მაგალითი მუშათა სახელმწიფოსი, პროლეტარიატის დიქტატურის, რომლის განხორციელებისაკენ ისწრაფვის მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი. პარიზის კომუნის 72 დღემ თვალი აუხილა ყველა ქვეყნის მშრომელთ თავის ისტორიულ დანიშნულებაზე, უჩვენა მათ გზა, თუ როგორ უნდა იბრძოლონ მათ თავის განთავისუფლებისათვის.

პარიზის კომუნის გაკვეთილები მთლიანად გამოიყენა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა. პროლეტარულ სახელმწიფოს პირვანდელი ტიპი მოგვცა პარიზის კომუნამ. მისი ნაციონალური გვარდია ჩვენი წითელი არმიის ჩანასახია. კომუნის მიერ მშრომელი ხალხის შეიარაღებას, სამილიციო სისტემის შემოღებას, მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამხედრო მშენებლობისათვის.

ჩვენ გამოვიყენეთ პარიზის კომუნის არა მარტო მიღწევები, არამედ შეცდომებიც. ერთი ძირითადი შეცდომათაგანი მდგომარეობდა იმაში, რომ პარიზის მუშათა კლასმა ვერ შესძლო გლეხობასთან კავშირის გაბმა და მისი მიმხრობა. პარიზის პროლეტარიატი მოწყვეტილი და განმარტოებული დარჩა. ამან განსაზღვრა მისი დამარცხება. საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის საფუძველს კი მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი წარმოადგენს. პარიზის კომუნის გამოცდილება ერთხელ კიდევ გვიკარნახებს ამ კავშირის განმტკიცებას.

პარიზის პროლეტარიატს არ მოეპოვებოდა სათანადო ხელმძღვანელი, ნათელი კლასობრივი პროგრამის და ტაქტიკის მატარებელი და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული პარტიის სახით. ეს იყო დიდი უბედურება. ამით აიხსნება, რომ პარიზის მუშათა კლასი არ იყო დარაზმული და ბრძოლის მიზნებიც მკაფიოდ არ ჰქონდა შეგნებული. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს კი ჰყავს ასეთი პარტია—ბოლშევიკური პარტია, რომელმაც უზრუნველჰყო მისი გამარჯვება.

პარიზის კომუნარებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო სისწრაფე და სიმტკიცე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში. მათ საშუალება მისცეს პარიზის ბურჟუაზიას გახიზნულიყო ვერსალში და ამით მოეხდინა თავისი ძალების მობილიზაცია. ხელი არ უხლიათ ბურჟუაზიის ერთ-ერთ სიმაგრისათვის, საფრანგეთის ნაციონალურ ბანკისათვის, სადაც სამი მილიარდი მარკა ეწყო, მაშინ როცა კომუნას ფული ძალიან ესაჭიროებოდა. ყველაფერი ეს იყო შედეგი კომუნარების გამოუცდელობის და ასეთ პირობებში დაუშვებელი სულგრძელობის.

რა თქმა უნდა, პარიზის კომუნის დამარცხება არ აიხსნება მარტო ამ შეცდომებით. საერთაშორისო მდგომარეობა არ იყო ხელსაყრელი პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის. პარიზი განმარტოებული იყო როგორც დანარჩენ საფრანგეთისაგან, ისე მთელ მსოფლიოსაგან. საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა და პროლეტარული სოლიდარობა მეტად სუსტი იყო მაშინ. პარიზის კომუნას არ მოეპოვებოდა დამხმარე ძალა სხვა ქვეყნებში.

დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა. კომუნისტური ინტერნაციონალი მასიურ ორგანიზაციადაა გადაქცეული; მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში აღმართულია გამარჯვებულ მშრომელთა წითელი დროშა. ყველაფერი ეს საწინდარია საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვების, რომელსაც პარიზის კომუნარებმა მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეს ამ 55 წლის წინედ.

რას გვავალებს პარიზის კომუნის წლისთავი

კომინტერნის მე-5-ე კონგრესის დადგენილებით 18 მარტი, პარიზ. კომუნის წლისთავი, გამოცხადებულია „წითელი დახმარების საერთაშორისო დღეთ", რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის (რემედასის) დღეთ. გასაგები და ბუნებრივია პარიზის კომუნის დაკავშირება რევოლიუციონურ ბრძოლის ზურგის განმტკიცების საქმესთან. კომუნიზმისათვის დაღუპულ პარიზელ კომუნარების ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა იქნება დახმარების აღმოჩენა იმ რევოლიუციონერებისათვის, რომელნიც დღეს მათ საქმეს აგრძელებენ.

ეს დახმარება კი უაღრესად საჭიროა. კაპიტალისტურ მსოფლიოს მუშათა კლასი უსასტიკეს დევნას განიცდის. ბურჟუაზიას დღეს არ ძალუძს „ჩვეულებრივი" მეთოდებით რევოლიუციონურ ტალღის შეჩერება. თეთრი ტერორი მძვინვარებს ყველგან, სადაც კაპიტალი სუფევს. ბურჟუაზია თავის შერყეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გამოკეთებას ცდილობს მუშათა ხარჯზე, ისედაც მცირე ხელფასის შემოკლებით, სამუშაო დღის გადიდებით, მუშათა ორგანიზაციებისათვის მათ მიერ დიდი მსხვერპლით მოპოვებულ უფლებების წართმევით. შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ირაზმება პროლეტარიატი და მედგარ ბრძოლას აწარმოებს თავის მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად, ექსპლოატატორების მადის ასალაგმავად, მათი ულის დასამსხვრევათ, ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

ბურჟუაზია არაფრის წინაშე არ ჩერდება მუშათა კლასის რევოლიუციონურ ნებისყოფის გასატეხად. ამისათვის მას ამოძრავებული ყავს თავისი კლასობრივი ჯარი, სასამართლო, პოლიცია, ფაშისტური ბანდები, მას ეხმარება ამ საქმეში სოციალ-დემოკრატია, ეს კლასობრივი ბრძოლა უამრავ მსხვერპლს იწირავს მშრომელთა მხრივ. ბურჟუაზიის ციხეები გავსებულია ათეულ ათას რევოლიუციონერებით, რომელნიც იქ აუწერელ გაჭირვებას და დამცირებას განიცდიან. ბურჟუაზიულ და კოლონიალურ ქვეყნების აპატიმროებში მომწყვდეულ რევოლიუციონერთა რიცხვი 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის აღწევდა 52.000-ს. გარდა ამისა, ათეულ ათასობით ითვლება სამოქალაქო ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და დახოცილთა რაოდენობა. აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან არა მარტო ისინი, არამედ მათი ცოლ-შვილებიც, რომელნიც ლუკმა-პურს არიან მოკლებულნი.

რევოლიუციის გამარჯვების საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიის მიერ დევნილ რევოლიუციონერთა და მათი ოჯახებისათვის ნივთიერ და მორალურ დახმარების გაწევას. ვის უნდა ეკისრა ამ დახმარების ორგანიზაციის მეთაურობა. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის განთავისუფლებულ მშრომელთ. მათ უნდა გაუწოდონ დახმარების ხელი კაპიტალის ტყვეებს. და ჩვენ ვხედავთ, რომ რემედასის ორგანიზაციებით ისერება საბჭოთა რესპუბლიკები. მუშები და გლეხები ხალისით ეწერებიან ამ ორგანიზაციებში და იღებენ თავიანთ წვლილს. რემედასის უჯრედების მოწყობა იწყება საბჭოთა კავშირში 1923 წლის მიწურულში. თუ 1924 წლის პირველი იანვრისათვის მათი წევრთა რიცხვი უდრიდა 500.000-ს, 1925 წლ. 1 ოქტომბრისათვის მან ექვს მილიონამდი მიაღწია.

რემედასის ორგანიზაციები ფართოდ ვრცელდება კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, მიუხედავათ იმისა, რომ იქ მეტად მძიმე პირობებია შექმნილი მათი არსებობის და მუშაობისათვის. ბურჟუაზია ამ ორგანიზაციებს დევნის და ბევრგან ისინი იძულებულნი არიან არალეგალურად იმუშაონ.

რემედასის მიერ სამი წლის განმავლობაში კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის აღმოჩენილ დახმარების რაოდენობა აღემატება რვა მილიონ მანეთს. აქედან საბჭოთა კავშირის მშრომელთა წილი შეადგენს დაახლოვებით 80 პროცენტს. ეს გასაგებია: ჩვენი კავშირის განთავისუფლებულ მშრომელთ, მიუხედავათ ნივთიერი ხელმოკლეობისა, მეტი შესაძლებლობა აქვთ და მეტი ვალდებულებაც აწევთ დახმარება აღმოუჩინონ ბურჟუაზიის მსხვერპლთ.

რემედასის მუშაობა არ ამოიწურება მარტო საშუალებათა შეგროვებით. ის ამავე დროს რევოლიუციონური ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს მუშათა რიგების დარაზმვას ბურჟუაზიის ტერორის წინააღმდეგ.

ამასთან რემედასის მოღვაწეობა ამხნევებს კაპიტალისტების ციხეების ოთხკედელ შუა მომწყვდეულ რევოლიუციონერებს და იმათაც, რომელნიც გარედ დარჩენილან და მედგარ ბრძოლას აწარმოებენ. მათ იციან, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი მათთანაა და არაფერს იშურებს მათთვის.

დღეს, პარიზის კომუნის წლის თავზე, მუშათა კლასი მუხლს იდრეკს რა მისი დაღუპულ გმირების ნათელი ხსოვნის წინაშე, მხურვალეთ ესალმება იმ რევოლიუციონერთ, რომელნიც იბრძვიან პარიზელ კომუნარების ანდერძის მსოფლიო მასშტაბით განხორციელებისათვის და რომელნიც ამიტომ ჩაყრილნი არიან ბურჟუაზიის ციხეებში და განიცდიან სასტიკ დევნა-შევიწროებას. ჩვენ ვიცით, რომ კლასობრივი ბრძოლა ურიცხვ მსხვერპლს იწირავს კაპიტალისტურ ქვეყნებში. საკმარისი არ არის ის დახმარება, რომელიც დღემდე ეძლევა მებრძოლთ. საჭიროა ამ დახმარების გადიდება. ჩვენი მოვალეობაა უფრო გავაძლიეროთ რემედასის ორგანიზაციები, როგორც რიცხობრივად, ისე ნივთიერად. რემედასის ახალ-ახალი უჯრედების დაარსება, ახალ-ახალი წევრების ჩაბმა მათში, უფრო მეტი თანხების დაგროვება რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლათ,—ასეთია დღეს, ჩვენი ლოზუნგი. ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ზურგის გამაგრებას.

კომპარტიას

(გზით კომუნართა)

პირველ მაისით წამოიწყო წყლის ალანქრება,
დიოდა ღელე, ჭიაფერის წვენით ნაბანი,
იყო ცისკარი, რაც ენთება და აღარ ჰქრება,
მაინც ქვეყანას თავს ეზურა ღამის საბანი.
და ეგ საბანი, დაცრეცილი ბევრგან ტყვიებით,
ვარსკვლავებივით ურიცხვთვალა ცას გვაგონებდა,
თუმც მოსიოდა ცივი ქარი სასტიკ მთიებით,
მაგრამ გულს იგი ვერ გვიტეხდა, ვერ გვაღონებდა.
ანთებულ ნისლედს გვაგონებდა დროშა, რხეული,
მეწამული ზღვის ღელვა იყო მისი ნარნარი!..
ირმის ნახტომად აზიდული ქალის სხეული
შვების ემბლემად იდგა შორს წინ, როგორც ფარანი!..
იყო წარმტაცი, ვით გამზირი ზღაპრულ ქალაქის,
ლტოლვა ამ უცხო ხატებისაკენ ქვეყნის შვებისა
და გადალახვა ეკლოვან გზის, წყლის თუ ტალახის,
სად თვით სიკვდილიც იყო მსგავსი უკვდავებისა!..
მსოფლიოს გულიც, ძუძუ-მკერდი, თითონ პარიზი
ამ მშვენიერი ცეცხლით ერთხელ გადაიბუგა...
ეხ, ეს კოცონი, ვით ვარდი, იქ შემდეგ დაგვიზრა
და გამოსჩანდა, ვით დიდხნეულ მკვდრის თვალის გუგა!..
ვერსალის მხეცი კი თავს ადგა მას გალალებით,
სისხლში მოსვრილი აღმართა ტლანქი ტორები,
ისმოდა დრტვინვა დაობლებულ შრომის ბაღებით,
იყო ჩამქრალი გზაზე ყველა სემაფორები!..
მაგრამ დაირხა კვლავ საბანი და ცისკრის დროშა,
და მეწამულ ზღვას წაეკიდა ცეცხლი, უშრეტი,
ცოდვილი მიწა განსასჯელად მიეცა დროსა,
ვით უზარმაზარ მსოფლიოსი მცირე უჯრედი!..
სივრცე—უსაზღვრო ოკეანეს ჯანღს აგავდა დრტვინვას,
ქვესკნელ-ზესკნელი იქცა მთლიან ერთ დიდ ქვემეხად,
აქ გზის გაგების უნარიც კი დაჰკარგა ტვინმა,
ბოროტი კეთილს გაუგონარ ძალით ემეხა!..
აღსდექი ამ დროს ერთი, მაგრამ მილიონ-თვალა,
მილიონიან მკლავითა და უსაზღვრო ძალით,
რომ ბოროტისთვის მიმართების ფრთა შეგვეცვალა,
და გზა-მიზანი შეუცდომლად განზომე თვალით!..
იყო ციმერვალდ-კინტალი და კვლავ ლენინგრადი,
შემდეგ, ბერლინიც ამ ქალაქებს გაეხმაურა,
ბუდაპესტ-ვენას ეცვა შენგან ტანს მუზარადი,
იტალო-ბერძენთ და ოსმალთაც ეს ეცნაურა...
მუნით ინდოეთს, აწ ჩინეთსაც იგი ეწვია
შემოიარა კონტინენტი, მოხაზა ზღვებით,
ძველი ცხოვრების ბედ-საბელი ახლა ბეწვია
და ზედ სიკვდილის ჩონჩხი დადის შიშველი ძვლებით!..

⁂

ახლა წითელი მოსკოვია მსოფლიოს გული,
ჰგვანან დაჭიმულ არტერიებს იმისკენ გზები,
ღამით რადიოს გუგუნია, აზვირთებული,
დღისით—ოქტომბრის მზის ციალი, გულის ამგზნები!..
კომ-პროფ-ინტერნი და პარიზის კომუნის ჩრდილი
აქ აღმართულან, ვით ახალი მძლე ეიფელი,
და ხმა გუგუნებს, სიმაღლიდან ფრთებ-გადაწვდილი,
რომ ქედს ხრის მეფე იოანნეს სამრეკლო ძველი!..
ეს ხმა გადასწვდა: იქით—ალპებს, აქეთ—ტიან-შანს,
თვით ჰიმალაის გადალახა მკაცრი მწვერვალი,
ნიუ-იორკიც კორდილიერთ იქიდან მოსჩანს
და ოქტომბერმაც შვა თავისი სხვა თებერვალი!..
ჩვენში ეს უკვე დადასტურდა „ხუთი ბეჭედით",
ხელისმოწერაც ბევრი იყო, სიტყვაც ზეპირი,
და ჩვენ ვამაყობთ სიმტკიცეში კავკასის ქედით,
და ვდგევართ მტრის წინ, როგორც მტკიცე რვალის ჯებირი!..
მოდის მოსკოვით დელეგატთა მთელი პლეადა,
ამბობენ: იმათ გვიგზავნისო საზღვარ-გარეთი,
მე მომწონს ხოლმე კეთილ ზრახვის ეს ილიადა,
ვერც იტალია მაფრთხობს ამ წამს, ვერც ბულგარეთი,
მოდის ახალი ეშელონი დელეგატების:
მოსკოვ-როსტოვი-კრასნოდარი-ბაქო-თბილისი...
მათ შესახვედრათ მომწონს აზრი ჩვენი მზადების:
არის გარჩევა შავი გულის, თეთრი კბილისა...
ახლა—სადგური! მოგრიალებს შორი ექსპრესი.
მოვიდენ, შევხვდით... და ზეიმის ჩნდება კოცონი,
გვესმის: „მოვედით, ვით მოითხოვს მუშათა წესი,
რომ ვნახოთ: თქვენში რაა ცუდი, რა—მოსაწონი!"
— კეთილი იყვეს, თქვენი მოსვლა! ჩვენ გვიხარია!..
მაგრამ ამ ლიტონ განცხადებას რომ არ დავჯერდეთ:
მოშხუის ავტო, ტრამვაიც დღეს უფრო ჩქარია:
„აქ, კომპარტიის ცეკა არის, უნდა შევჩერდეთ"!..
ჩვენი მარშრუტი: საბჭოები და საქართველო:
კარგად ჩახედეთ ცხოვრების თვით ყველა ნაპრალში,
სრულს სამშვიდობოს გატანილი ჯერ არ გვაქვს ლელო,
მაგრამ პირნათლად კი შევყურებთ მომავალს თვალში!..
რადგან ჩვენ გვჯერა—და ეს არა მარტო თქმულია,
რომ მოსვლა ესე და მოსვლათა მთელი გრეხილი
გზას მოსკოვისკენ, ვით სისხლი-ძარღვს ასიმულია,
მთელი ცხოვრების მოძრაობით პირ-გამეხილი!..

ნ. ზომლეთელი

ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავისათვის

ბრძანება

ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ჯარებისადმი

ქ. თბილისი № 62 17 მარტი, 1926 წ.

ხუთი წლის წინად საქართველოში დაემხო მშრომელთა კლასიური მტრების ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობდენ სოციალ-დემოკრატები—მენშევიკები. მენშევიკების ძალაუფლების დამხობა ნიშნავდა აგრეთვე საქართველოს მშრომელთა ნამდვილ განთავისუფლებას მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის) იმპერიალისტურ ბრძანებლობისაგან, ქვეყნების, რომლებიც ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი: ნავთი, მარგანეცი, სპილენძი და მოესპოთ მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის (რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისათვის) მთავარი სათბობი მასალა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საბჭოთა მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება საქართველოში აუცილებლად ხდიდა მჭიდრო ორგანიული კავშირის დამყარებას აზერბეიჯანის, სომხეთის, უკრაინის და საბჭოთა რუსეთის გამარჯვებულ მუშებთან.

თავისი ძალაუფლების დასაცავათ შინაური მენშევიკური კონტრ-რევოლიუციისაგან, თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად იმპერიალისტური ქვეყნების თავდასხმისაგან, საქართველოს გამარჯვებული მუშები და გლეხები დაუყოვნებლივ შეუდგენ რეგულიარულ შეიარაღებული ძალების ორგანიზაციას.

1921 წლის 21 მარტს გაცემულ იქნა ბრძანება პირველი ქართული წითელი ნაწილების მოწყობის შესახებ.

მას აქეთ გავიდა ხუთი წელი. საქართველოს მუშებს და გლეხებს ჰყავთ როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალური ნაწილები, რომლებშიაც სამხედრო მომზადებას იღებს საქართველოს მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო დაცვა საქართველოში უზრუნველყოფილია. ამის დამამტკიცებელია ქართული წითელი ნაწილების მუშაობა 1924 წლის აგვისტოს დღეებში, როცა საქართველოს მშრომელთა კლასიურმა მტრებმა ქართველი მენშევიკების პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მოახდინეს უკანასკნელი ცდა დაებრუნებიათ მათ მიერ დაკარგული ძალაუფლება.

საქართველოს მუშურ-გლეხური ჯარები თავისი ჩამოყალიბების პირველ დღიდანვე შევიდენ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ინტერნაციონალურ წითელი არმიის რიგებში, რითაც დაადასტურეს მთელი მსოფლიოს წინაშე შეურყეველი გადაწყვეტილება დაიცვან თავინთ სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობა გარედან თავდასხმისაგან.

საქართველოს წითელი ჯარები საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ რუს, უკრაინელ, თურქ, სომეხ და სხვა მუშებსა და გლეხებთან და მათ შეიარაღებულ რაზმებთან მჭიდრო, განუყოფელი ძმური კავშირი არის მშრომელთა მტრებზე გამარჯვების თავდები. მათ სჯერათ, რომ მხოლოდ ასეთ ერთობაშია მასების ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ წინსვლის, და, მაშასადამე, სოციალიზმის გამარჯვების საწინდარი.

ქართული ნაწილები თავის განვითარების 5 წლის განმავლობაში მთელი თავისი მუშაობით და მომზადებით გაუთანასწორდენ ერთიანი წითელ არმიის სხვა ნაწილებს.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის რევ. სამხ. საბჭო დარწმუნებულია, რომ ქართულ დივიზიების წითელარმიელთა, საკომანდო და პოლიტიკური შემადგენლობა შემდეგშიაც, ისევე როგორც განვლილ ხუთ წელში, დაუზარებლად იმუშავებს თავის სამხედრო მომზადების განვითარების და თავის მუშურ-გლეხურ სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

რევ. სამხ. საბჭო ულოცავს კავკასიის წითელდროშოვან არმიის მთელ შემადგენლობას ქართულ დივიზიების ხუთი წლის თავს, და აღნიშნავს, რომ ჩვენი წითელი არმიის სიმტკიცისა და უძლეველობის საწინდარს წარმოადგენს ყველა მის ნაწილების ძმური კავშირი და მისი რიგების მთლიანობა. შემდეგში ეს კავშირი და ეს მთლიანობა გაღრმავდება, და მრავალფეროვანი ჩვენი კავშირი, ყველა ეროვნებათა შეიარაღებულ მშრომელების მფარველობით გამოვა გამარჯვებული ბრძოლიდან მთელ ბურჟუაზიული მსოფლიოს წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს ჩვენს მთლიან წითელ არმიას!

ჯარების სარდალი **ლევანდოვსკი.**

რევ.-სამხ. საბჭოს წევრები: **ორჯონიკიძე, ელიავა, ზალუცკი. კარაევი, ლუკაშინი, რატნეკი.**

საქართველოს ცაკის ცირკულიარული წერილი

ა.-წ. 21 მარტს, სრულდება საქართველოს წითელი არმიის არსებობის 5 წლის თავი. საბჭოთა სახელმწიფოს დამყარებასთან ერთად ამავე წელში მოხდა მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალის—საქართველოს წითელი არმიის ჩამოყალიბებაც. პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების და საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრების ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს მუშების და გლეხების სამხედრო ძალა—წითელი არმია. ცხადია, წითელი არმია არის ძირითადი პირობა ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ აღორძინების. საქართველოს წითელი არმიის არსებობა საუკეთესო დამამტკიცებელია საბჭოთა ხელისუფლების სწორი ეროვნული პოლიტიკის და ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სისტემა უზრუნველყოფს ეროვნულ თავისუფლებას და მცირე ეროვნებათა შორის სცდილობს მშრომელთა შეიარაღებულ ძალის ჩამოყალიბებას. საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე ჩვენ გვყავს კარგათ გაწვრთნილი, ბრძოლისათვის მომზადებული წითელი არმია, რომელმაც შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და ამით მოიხვეჭა მუშების და გლეხების უსაზღვრო ნდობა და სიყვარული. ქართული წითელი არმია ნაწილია მთლიანი საკავშირო წითელი არმიის, ის სწავლობს მის მოძმე ნაწილების გამოცდილებებს, იჟღინთება სამოქალაქო ომის დროს შექმნილ ბრძოლის ტრადიციებით და მომავალში, ისე როგორც წარსულში, ქართული წითელი არმია, როგორც ნაწილი მთლიანი წითელი არმიის, მხნეთ შეასრულებს თავის მისიას.

5 წლის თავის აღნიშვნა უნდა ჩატარდეს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლების და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ყოველმხრივი ცხადყოფის მიზნით. საქართველოს მშრომელ ხალხს ფართედ უნდა განემარტოს ჩვენი წითელი არმიის მიღწევანი, მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე, მოვალეობა მომავალში და მშრომელთა ყოველმხრივი დახმარება მისი გაძლიერება-განვითარების საქმეში. მეტათ უნდა განმტკიცდეს საქართველოს მშრომელთა კავშირი წითელ არმიასთან, ყოველმხრივი დახმარება მას, მასთან ერთად ქვეყნის სამეურნეო და სამხედრო გაძლიერება—აი, მიზანი 5 წლის დღესასწაულის.

საქართველოს წითელი არმიის ერთ შესანიშნავ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს იმ ეროვნულ უმცირესობათა მიზიდვა წითელი არმიის აღმშენებლობაში, რომელიც ძველ დროს სამხედრო ბეგარას არ ეწეოდენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეროვნულ უმცირესობის მშრომელმა ხალხმა სავალდებულოთ სცნო წითელი არმიის სახელოვან რიგებში ჩადგომა და საპატიო მოვალეობის ასრულება. აფხაზეთის მშრომელი ხალხის დაჟინებითი სურვილით დღეს იქ სდგას ტერიტორიალური ნაწილი, რომელიც ივსება განსაკუთრებით აფხაზეთისაგან თავის უფროსთა ხელმძღვანელობით.

ასეთივეა სამხრეთ-ოსეთშიც. იქაურის მშრომელი მასა ამ ჟამად უაღრეს სურვილს გამოსთქვამს საქართველოს წითელი არმიის აღმშენებლობაში ჩაბმისას.

ეს გარემოება ნათელჰყოფს, რომ საქართველოს წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ატარებს ჭეშმარიტ სოციალისტურ პრინციპებს, სწორ ეროვნულ პოლიტიკას, მიმართულს ამ ერების კულტურულ აღორძინებისაკენ.

საქართველოს წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაული საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა ჩაატარონ და დახმარება აღმოუჩინონ სამხედრო ნაწილებს მათზე დავალებულ ამოცანების შესრულებაში.

დღესასწაულის მიზანშეწონილათ ჩატარებისათვის გევალებათ:

1) ჩაატაროთ კამპანია ქალაქებში და სოფლებში 18-დან 21 მარტამდის (წარმოებებში, დაწესებულებებში და თემებში) მოხსენებების წაკითხვით 5 წლის თავის მნიშვნელობაზე.

2) ადგილობრივ პრესაში სწარმოებდეს ფართე მასიური კამპანია სისტემატიურად. 21 მარტის ნომერი გაზეთებისა დაეთმოს საქართველოს წითელ არმიას.

3) კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის გასამხედროების და ტერიტორიალური მშენებლობის საკითხებს.

4) გლეხთა სახლებში, მუშათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში გახსნილ იქნეს სამხედრო კუთხეები.

5) მოწვეულ იქნეს საბჭოების საზეიმო კრებები ადგილობრივ საბჭოებისა პროფორგანიზაციებთან და სამხედრო ნაწილებთან ერთად.

6) 21 მარტს, წითელი არმიის კულტშეფების მიერ გამართულ იქნეს გასართობები თეატრებში, კინოებში და სხვა.

საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. ცაკ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
ს. ს. ცაკ-ის მდივანი ს. თოდრია.
17 მარტი, 1926 წ.
თბილისი—სასახლე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ხანძარი

სტეფანაკერტ, 17 მარტი. 15 მარტს ღამის 12 საათზე, ცენტრალური კოოპერატივის შენობაში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც გაგრძელდა დილამდის.

ცეცხლი ჩააქრო მოსახლეობამ და მოსამსახურეებმა, რომელნიც წყალს ვედრებით ეზიდებოდენ მახლობელ წყაროდან.

ცეცხლში დაიღუპა ერთი კომკავშირელი და დაზიანდა რამოდენიმე მოქალაქე.

დაიწვა საქონელის დიდი ნაწილი. ზარალი ირკვევა.

ფორდზონები.

აგდაში, 17 მარტი. კეიბირლიგის განყოფილებამ მიიღო 5 ფორდზონი. ტრაქტორები განაწილებულ იქნება სასოფლო სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობებს შორის.

მებამბეობის კამპანიისათვის

აგდაში, 17 მარტი. დაწყებულია ბამბის მთესავთა რეგისტრაცია. აგდაშის შემსყიდველი პუნქტი აწარმოებს ბამბის მთესველთა ქონებრივი მდგომარეობის შემოწმებას.

სათესი მასალა მიღებულია და ამ დღეებში დაურიგდება მებამბეებს.

სააბრეშუმო კამპანია იწყება

აგდაში, 17 მარტი. კეიბერლიგის განყოფილება შეუდგა აბრეშუმის თესლის დარიგებას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საშუალებით.

პარტიული ცხოვრება

ა/კ. ბეჭდვითი სიტყვის მუშათა თათბირი

16 მარტი, სალამოს სხდომა.

სალამოს სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ს. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი განყოფ. გამგე ამხ. **მუშიშვილი.**

მომხსენებლის სიტყვით, უკანასკნელ წლებში დიდი მოთხოვნილებაა ლიტერატურაზე, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ლიტერატურის განვითარებას. ეს ერთი მხრით აიხსნება ქვეყნის ეკონომიური აღორძინებით და, მეორე მხრით, იმ გარდატეხით, რომელიც მოხდა ქართველ ინტელიგენციაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

საქართველოში გამოდის 15 გაზეთი: მუშური, გლეხური, სამხედრო და საერთო. ქართულ ენაზე გამოდის 9 გაზეთი, სხვა ენებზე კი 4.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაზეთების ტირაჟი ძლიერ გაიზარდა. მენშევიკების დროს ყველაზე უფრო დიდი გაზეთის „ერთობის“ ტირაჟი უდრიდა 6.000. დღეს კი „კომუნისტის“ ტირაჟი 25.000-დე აღის; „ახალ სოფელის“ კი 32.500 ტირაჟი აქვს.

იცემა 31 ჟურნალი, ორის გარდა, ყველა ქართულ ენაზე. კარგათაა დაყენებული კომკავშირული პრესა. გამოდის ყოველდღიური გაზეთი, ზრის კვირეულიც.

საქართველოში გვაქვს 26 გამომცემლობა. ყველაზე ძლიერია სახელმწიფო გამომცემლობა. დანარჩენი გამომცემლობებია პროფკავშირების, კოოპერაციის და სხ. უწყებების; გარდა ამისა, არის 5 კერძო გამომცემლობა. სულ ამ გამომცემლობების მიერ გამოცემულია 908 სხვადასხვა წიგნი 3.655.000 ტირაჟით. თავიდან ადგილი ჰქონდა ერთნაირ პარალელიზმს, ერთ და იმავე წიგნს სცემდენ სხვადასხვა გამომცემლები. ამ ბოლო დროს მიღებულია ზომები ამის აღმოსაფხვრელად.

გაზეთების გავრცელება ვერ არის სათანადოთ დაყენებული. ყველა გაზეთს ადგილზე აქვს კანტორა და მისი საშუალებით ავრცელებს გაზეთს. ხდება ხშირად, რომ აგენტები ერთმანეთს ეცილებიან გავრცელების საქმეში. დადგენილია ექსპედიციების გაერთიანება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გლეხური ლიტერატურის გამოცემას. გვაქვს გლეხური გაზეთი, ვცემთ გლეხური შინაარსის წიგნებს. ამ ბოლო დროს გამოიცა 19 სხვადასხვა წიგნი 515.000 ტირაჟით.

მუშკორ - გლეხკორთა მოძრაობა თანდათან ძლიერდება. უკანასკნელი ცნობებით, მათი რიცხვი 3.500 კაცს უდრის. ხელმძღვანელობა მუშკორგლეხკორთა მოძრაობისადმი სუსტია. ცეკას ინიციატივით რამდენიმე მაზრაში მოწვეულ იქნა სამაზრო მუშკორთა და გლეხკორთა სამაზრო კონფერენციები.

შემდეგ მომხსენებელი მოკლედ შეეხო კედლის გაზეთების მდგომარეობას და აღნიშნა, რომ კედლის გაზეთების რიცხვი თანდათან მატულობს. საქართველოში იცემა 780 კედლის გაზეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მათგანი ცუდათაა დაყენებული. ისინი სცილდებიან თავის პირდაპირ დანიშნულებას.

სომხეთში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა სომხ. კომპარტიის ცეკას ბეჭდვითი განყოფ. გამგემ. მან აღნიშნა, რომ სომხეთში თვითმპყრობელობის დროს, სრულიად არ იცემოდა გაზეთი. დაშნაკების დროს გამოდიოდა მხოლოდ ერთი გაზეთი. ბეჭდვითი სიტყვის განვითარება სომხეთში, სთქვა მომხსენებელმა, მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან. დღეს სომხეთში 8 გაზეთი გამოდის. ზოგი მთგანი მუშურია, ზოგი გლეხური, კომკავშრელების და სხვ. ორი გაზოგი მათგანი მუშ., ზოგი გლეხუგაზეთების ტირაჟი უდრის 23.000. თუ მივიღებთ მხედველობაში თუ რა მდგომარეობა იყო სომხეთში წინათ, ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ძლიერ ცუდათაა დაყენებული ადგილებთან კავშირის საქმე. არის ისეთი კუთხეები, სადაც მე-18 დღეს მიდის გაზეთები.

გარდა ამისა სომხეთში გამოდის 10 ჟურნალი; ამათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ერთი პოპულიარულ-სამეცნიერო ხასიათის ჟურნალი.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს გამომცემლობის მდგომარეობას და ამბობს, რომ უკანასკნელ დროს გამომცემლობის საქმე უმჯობესდება. მეტი ყურადღება ექცევა სასწავლო წიგნების გამოცემას. ამ ბოლო დროს შევუდექით სამხატვრო ლიტერატურის გამოცემასაც. გლეხურ ლიტერატურას უმთავრესად სცემენ მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის და განათლების კომისარიატები.

კედლის გაზეთების რიცხვი უდრის 385; კედლის გაზეთები უმთავრესად გამოდის ქალაქებში, ზევით დასახელებულ რიცხვიდან 150 კედლის გაზეთი ერევანში გამოდის. მუშკორთა რიცხვი 200-ს უდრის, გლეხკორთა კი 900. გლეხკორთა მოძრაობა თანდათან ძლიერდება. მუშკორ-გლეხკორთა შორის ამ უკანასკნელ დრომდი არავითარი მუშაობა არ იყო. დღეს ეს ნაკლი თანდათან სწორდება.

21 მარტისათვის

23 თებერვალს მთელ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა იდღესასწაულეს წითელი არმიის არსებობის 8 წლის თავი. ეს დღე მთელ კავშირში დიდი ზეიმით ჩატარდა; მან უსათუოდ ძლიერ შეუწყო ხელი წითელი არმიის კიდევ უფრო განმტკიცებას, მისდამი ყურადღების გაცხოველებას, მშრომელთა ფართო წრეებისა და წითელი არმიის დაკავშირებას.

21 მარტს საქართველოს მუშები და გლეხები დღესასწაულობენ საკავშირო წითელი არმიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილის—ქართული წითელი არმიის არსებობის 5 წლისთავს. ამ დღესასწაულის ჩატარებას ადგილობრივი პარტორგანიზაციები აქედან უნდა შეუდგენ და მის ჩატარებაში ფართოდ ჩააბან მუშები და გლეხები. წინასწარ უჯრედების ღია სხდომებზე გაკეთებულ უნდა იქნეს მოხსენებები საერთოდ წითელი არმიის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე, მის დღევანდელ მდგომარეობაზე, გაშუქებულ უნდა იქნეს ტერიტორიალური სისტემის მნიშვნელობა. საჭიროა ასეთივე ღია კრებები მოაწყონ სოფლის უჯრედებმა გლეხთა ფართო მასების თანდასწრებით; უნდა მოეწყოს აგრეთვე თემის საბჭოების გაფართოებული სხდომები, სადაც უნდა გაშუქდეს იგივე საკითხები. საჭიროა აგრეთვე ცალკე ფაბრიკა-ქარხნებშიც და დაწესებულებებშიც მოეწყოს ასეთივე კრებები.სადაც შესაძლო იქნება, უნდა მოეწყოს მუშებისა და გლეხების გაერთიანებული კრებები წითელარმიელებთან ერთად.

21 მარტის დღესასწაულმა ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა ფართო მასების დაახლოვებას, დაკავშირებას წითელ არმიასთან. ჩვენ ვიცით, რომ მუშათა კლუბებთან, ქოხ-სამკითხველოებთან არსებობენ სხვადასხვა კუთხეები, სამხიორო კუთხეებს კი იშვიათად შეხვდებით.21 მარტისათვის აუცილებლად უნდა მოეწყოს კლუბებთან და ქოხ-სამკითხველოებთან სამხედრო კუთხეები.

ერთი სიტყვით უნდა გავაცნოთ ამ დღესასწაულის მნიშვნელობა ჩვენს მუშებსა და გლეხებს. თვით 21 მარტს კი უნდა მოეწყოს გაერთიანებული საზეიმო სხდომები მშრომელების და ასმხედრო ნაწილების აერთოდ. რამდენადაც კი შესაძლო იქნება წითელ არმიელთათვის უნდა მოეწყოს უფასო სპექტაკლიბი, კინოები და სხ

21 მარტმა უნდა დაანახვოს ჩვენს წითელ არმიელებს, რომ ის მარტო არ არის, რომ მას გვერდში უდგანან საქართველოს მუშები და გლეხები. წითელ არმიელს უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი მზრუნველობის ხელი.

წითელი არმიელის ცხოვრებასთან გაცნობით, წითელი ყაზარმის გაცნობით ჩვენ უნდა დავაახლოვოთ ერთმანეთს ჩვენი რესპუბლიკების დარაჯი, წითელი არმია და მუშები და გლეხები.

ჟ.

საბჭოთა აჭარისტანის ხუთი წლის თავი

მისალმებანი

ბათომი

აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. გოგიბერიძეს.

„ამიერ-კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო ესალმება აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ქართველი მენშევიკების, ბეგების, მოლების და უცხოელი მტაცებლების დამხობის 5 წლისთავზე. აღნიშნავს რა აჭარისტანის ფუხარას გმირულ ბრძოლას და მნიშვნელოვან მიღწევებს ეკონომიურად ჩამორჩენილ რესპუბლიკის მეურნეობის აღდგენის საქმეში, ამ.-კავკ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ ჩაგვრისა და ძალადობისაგან განთავისუფლებული აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკა, აღმოსავლეთის ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკათაგანი, ძალების ახალი დაჭიმვით მოძმე საქართველოს, ამ.-კავკ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად კვლავ გვიჩვენებს ახალ-ახალ წარმატებებს სოციალისტური აღმშენებლობის და მშრომელი მასების კულტურული განვითარების სფეროში“.

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:
მ. ორახელაშვილი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე და ძმურ სალამს უძღვნის აჭარისტანის მშრომელთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავზე. ხუთი წლის წინად აჭარის მშრომელ ხალხმა სამუდამოთ გააძევა იმპერიალისტების აგენტები—მენშევიკები და იგი საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახს შეუერთდა. აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი წლის განმავლობაში დიდი აღმშენებლობის უნარი გამოიჩინა. რესპუბლიკა ეკონომიურად და პოლიტიკურად აღორძინდა, ხალხი კულტურულად განვითარდა და მტკიცე საძირკველი ჩაეყარა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს აჭარის ფუხარა ხალხის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ. გაუმარჯოს აჭარისტანის ფუხარა ხალხს, გაუმარჯოს საბჭოთა აჭარისტანს.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ელიავა.

თბილისის ალმასკომისაგან

აჭარისტანის გასაბჭოებიდან 5 წლის შესრულების გამო თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო გულწრფელ და მხურვალე სალამს უძღვნის ავტონომიურ აჭარისტანის მშრომელებს და გულით უსურვებს საბოლოო გამარჯვებას ნაციონალურ-კულტურულ და სამეურნეო ფრონტებზე წითელი აჭარისტანის საკეთილდღეოთ.

თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე სუხიშვილი.

განთავისუფლებული აჭარისტანი

1926 წლის 18 მარტს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც აჭარისტანის ფუხარა ხალხი განთავისუფლდა მონობისაგან. ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ წალეკა ძველი წესწყობილება ყოფილ მეფის რუსეთის ტერიტორიაზე. მშრომელი მასსა თვით შეუდგა თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შენებას.

აჭარისტანის ფუხარა კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებდა მონობის უღელს. კიდევ წლების განმავლობაში თელავდენ აჭარის ფუხარა ხალხს ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტები. ბოლოს მას მოევლინა უკანასკნელი წურბელი მენშევიკურ ურდოების სახით, რომლის ბატონობის დამხობით დამთავრდა ფუხარას ტანჯვა. ოქტომბრის რევოლიუციის ძლევა-მოსილმა ტალღამ სამუდამოთ წარეცხა მონობის ნაშთი და აჭარის ფუხარა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

მიუხედავათ გასაბჭოებისა, აჭარის ფუხარას კიდევ კარგა ხანი მოუხდა ბრძოლა იმ ბნელ ელემენტებთან, რომლებმაც აქ თავი შეაფარეს ეგრედწოდებულ შავ მეჯლისს. 1921 წლის 7 ნოემბერს აჭარისტანის ფუხარა ხალხმა შესძლო შავი მეჯლისის დამარცხება და წითელი მეჯლისის—ეხლანდელი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაარსება. აი აქედან იწყება აჭარისტანში ნამდვილი აღმშენებლობითი მუშაობა.

მე აქ არ შეუდგები დაწვრილებით იმის აღწერას, თუ რა გაკეთებულა დღემდი აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ზოგიერთი რამ, რასაც ჩვენი ფუხარა ხალხისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეკონომიური და კულტურული აღმშენებლობა აჭარისტანში სწრაფად და დიდი ნაბიჯით მიდის წინ. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ მეფის მთავრობის დროს მთელს აჭარისტანში სულ რამოდენიმე სკოლა იყო, ეხლა-კი 120 სკოლაა, რომელშიდაც 6000-დე აჭარელი ფუხარა შვილები სწავლობენ. ეს უდიდესი მიღწევაა აჭარისტანის პირობებში. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მშრომელი ხალხი ფართედ არის ჩაბმული კულტურულ მუშაობაში.

არის მეორე საკითხი, რომელსაც ჩემის აზრით უაღრესი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანის სინამდვილეში. წინედ ქალი უფლება აყრილი იყო, მთელ ყოფილ მეფის რუსეთში,აქ აჭარისტანში იგი ხომ სრულ მონას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქალი უფლებრივათ გათანასწორდა მამაკაცთან, მაგრამ აჭარისტანის სინამდვილეში ქალი პირველ წლებში ფაქტიურად ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა, რომელშიც იყო წინედ. გასაბჭოების ხუთი წლის თავზე სურათი სულ შეიცვალა. კომუნისტური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა აჭარისტანის სინამდვილეში ქალი გამოეყვანა პოლიტიკურ ასპარეზზე. თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს საბჭოთა არჩევნებს, იქ ხშირად შეხვდებით საბჭოებში წევრებად მუსლიმან-ქალებს, რაც აჭარაში უსათუოდ დიდი მიღწევაა.

საბჭოთა ხელისუფლებას აჭარისტანში აქვს, გარდა განათლების და კულტურული დარგისა, ეკონომიური აღმშენებლობის დარგში მეტად საგრძნ. მიღწევები, როგორიც არის ბიდონის ქარხნის ამუშავება, ცინკის ქარხანა და ჰიდრო-სადგური. უკანასკნელი ჯერ არ არის დამთავრებული.

უსურვებ აჭარის ფუხარა ხალხს კომუნისტურ პარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მეორე ხუთი წლის თავზე ჰქონოდეს ბევრჯერ მეტი მიღწევები როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ დარგში.

აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ. ც. ა. კ. თავმჯდომარე—**მ. სურმანიძე.**



ამხ. მოედინ სურმანიძე

აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე



ამხ. მემედ გოგიბერიძე

აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ხუთი წლის თავი

თუ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ერები ჩვეულებრივ დღესასწაულობენ ხოლმე პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების წლის თავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ გამარჯვებას აჭარელი მშრომელი მასებისათვის.

1921 წ. 18 მარტს აჭარელმა ფუხარა ხალხმა თავისი ბედი პროლეტარულ რეჟიმს დაუკავშირა და დღეს, სოციალურ რევოლიუციის ხუთი წლის თავზე, მას შეუძლია სიმშვიდით და კმაყოფილებით სთქვას, რომ მან აირჩია ერთად-ერთი საიმედო გზა, რომლითაც მიდის სინათლისკენ, ეკონომიური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ.

ვის არ ახსოვს სისხლიანი ნიკოლ[illegible]ზის გალაშქრება ანატოლიის სანაპიროებზე და თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის 50.000 აჭარელის სასიკვდილოთ განწირვა და მათი სახლ-კარის აოხრება?

ვის არ ახსოვს ოსმალეთის, გერმანელების და შემდეგ ინგლისელების გათარეშება გუშინდელ ბათომის ოლქზე?

ვის არ ახსოვს მენშევიკური მთავრობის ვერაგობა და მათი აგენტების—ბეგებისა და ბანდიტების თვითნებობა, რომელნიც გასაოცარი სისასტიტით, ამეფებდენ მშრომელთა მასებში უმეცრებას, უუფლებობას, ბორკილებს და მათრახებს.

ასე იყო აჭარისტანში წინედ. მაგრამ აჭარელ ფუხარას გამოუჩნდა ძლიერი მოკავშირე—საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები, რომელთაც ერთის დაკვრით მოსპეს მშრომელი ხალხის კლასიური მტრები და მათი მაჩანჩალა მთავრობები, დაემხო მენშევიკების, ბეგების და მეფის რეჟიმი ბათომის ოლქში. ეს მოხდა აჭარისტანის გასაბჭოების დღეს. მას შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ აამოძრავა საუკუნოებით ხელოვნურად დაჩლუნგული მშრომელთა ძალები და შეუდგა პროლეტარულ აღმშენებლობას. დღევანდელი ჩვენი მიღწევები გვეუბნებიან, რომ დაუშრეტელია და ყოვლად მძლეა მშრომელთა ენერგია, როცა ის მოქმედებაშია თვით თაოსნობით. დაიმსხვრა ფეოდალიზმის წყობილება, მოხდა საბოლოო მისი ნაშთების ლიკვიდაცია. მშრომელი წელში გასწორდა, მან შეიგნო თავისი როლი ახალ წყობილებაში და შეგნებულად გაექანა ძმობა-ერთობისაკენ — სოციალიზმისაკენ. მან უკვე გაამრავლა აჭარისტანში სოციალისტური ელემენტები, გზები, ხიდები, სკოლები, კოოპერატივები, საწარმოო კავშირები, ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა მამულები, სოფლის კომუნები და სხვა.

აჭარისტანის გასაბჭოების მეხუთე წლის თავზე ჩვენ ვამბობთ, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირში შემავალ მოძმე რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა აჭარისტანიც დაამყარებს სოციალიზმს.

გაუმარჯოს ამ ბრწყინვალე მომავალს!

აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**სულეიმან ბარამიძე.**



ამხ. ხასან ლორთქიფანიძე

აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



ბმხ. შერიფ აბდიბა

აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მზის ძალოვანი მუშაობა.

ლენინგრადი, 17 მარტი. მსოფლიომცოდნეობის მოყვარულთა საზოგადოების ობსერვატორია ამ უკანასკნელ დღეებში ამჩნევს მზის არაჩვეულებრივ მუშაობას.

გრანდიოზული პროცესები, რომელიც მზეზე გასული წლის ბოლოს დაიწყო, ხელს უწყობს ისეთი ლაქების გაჩენას, რომელიც შეუიარაღებელ თვალითაც დაინახება.

ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი უდიდესია იმ ლაქებს შორის, რომელიც ამ 50 წლის განმავლობაში იყო შემჩნეული. ამ ჯგუფს უჭირავს, დაახლოვებით, ლაქების რამდენიმე ათეულოჯერ მეტი სივრცე. ვიდრე დედამიწას. მზის ცენტრალურ ნაწილზე ლაქების გაჩენით აიხსნება ზოგიერთი მეტეოროლოგიური გავლენა.

კარაქის გაგზავნა ჩრდილოეთ ამერიკაში.

ბარნაული, 16 მარტი. სარძევე კავშირმა ჩრდილოეთ ამერიკაში პირველად გაგზავნა 228 კასრი კარაქი.

რადიო სოფლად.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 17 მარტი. სოფლებიდან, რომლებშიაც დადგმულია რადიომიმღები აპარატები, მოდის ცნობები, რომ გლეხებში რადიო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მოხუცი გლეხებიც კი რადიოს მოსასმენად მოდიან შორეული ადგილებიდან.

კინო-ბროშიურები სოფლისათვის.

მოსკოვი, 17 მარტი. კინო-სექციამ გამოუშვა მთელი რიგი კინო-ბროშიურებისა რამდენიმე ასი ათასის ტირაჟით. ყველა ეს ბროშიურები ფართედ ვრცელდება, უფასოდ ეგზავნება პარტიულ, პოლიტიკურ, საგანმანათლებელო და კოოპერატიულ დაწესებულებებს.

ნათესების მდგომარეობა.

მოსკოვი, 17 მარტი. მარტის პირველი 10 დღე ხასიათდება თბილი ამინდით. თოვლი მხოლოდ ზოგიერთ ადგილში დარჩა გაუმდნარი. საერთოდ, ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საბინაო ფონდის თანხები.

მოსკოვი, 17 მარტი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსებულ იქნეს ქალაქებსა და მუშათა ახალშენებში ადგილობრივი ბიუჯეტის სპეციალური საბინაო თანხები, რომელიც უნდა იხარჯებოდეს მუნიციპალიზაციაქმნილ შენობების შენახვასა, შეკეთებასა და აღდგენაზე და აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების აშენებაზე. საბინაო ფონდის სპეციალური თანხა სდგება იმ საცხოვრებელ შენობების წმინდა შემოსავლისაგან, რომელთა უშუალო ექსპლოატაციას ეწევიან ადგილობრივი კომუნალური მეურნეობანი. საბინაო ფონდში შედის აგრეთვე იჯარით გაცემული სახლების საიჯარო გადასახადი.

სალამი შანხაიდან.

მოსკოვი, 17 მარტი. შანხაის ფეიქართა ფედერაციის წარმომადგენელმა ლი-ჩინმა, რომელიც მოსკოვში იმყოფება, საბჭოთა კავშირის ფეიქართა ცეკას გადასცა წერილი, რომელშიაც შანხაის ფეიქართა ფედერაცია მხურვალედ ესალმება საბჭოთა ფეიქრების პროფკავშირს და მადლობას უძღვნის შანხაის ამბების დროს გაწეულ დახმარებისათვის.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია.

ლენინგრადი, 17 მარტი. 16 მარტს ლენინგრადში ჩავიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია.

გამოფენა-ბაზრობა რიგაში.

ლენინგრადი, 17 მარტი. ჩრდილოეთ-დასავლეთ ოლქის სამეურნეო ორგანიზაციებმა მიიღეს მიპატიჟების ბარათი რიგის გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მიმდინარე წლის ივნისში.

უკრაინა

ამინდი.

ხარკოვი, 17 მარტი. 9 მარტიდან მთელს უკრაინაში თბილი ამინდი დაიჭირა. მინდვრებზე თოვლი სავსებით გადნა. ზამთრის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ყირიმი

ქარიშხალი და ციკლონი ყირიმში.

სევასტოპოლი, 17 მარტი. ქალაქში ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. იალტას ციკლონმა გადაუარა. ტემპერატურა ერთბაშად შეიცვალა; მოვიდა თოვლი პირველად ამ ზამთარში.

კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება

მოსკოვი, 17 მარტი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ საჭიროდ სცნო განახორციელოს ზოგიერთი ღონისძიება კვალიფიციურ მუშა-ძალის მომზადების მიზნით.

ეს ღონისძიებანი უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: მუშა-ძალის მასიური მომზადება უნდა სწარმოებდეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებთან ერთად მოკლევადიან კურსების საშუალებით.

ვინაიდან მუშა-ძალის მომზადება წარმოადგენს საფაბრიკო - საქარხნო სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიურ ამოცანას, საჭიროა ეს სკოლა განიტვირთოს ფართო საერთო საგანმანათლებლო პროგრამისაგან.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა უნდა მოამზადონ კვალიფიციური მუშები მეექვსე ხარისხამდე. სკოლიდან გამოშვებულ მუშებს უნდა შეეძლოთ თავისი კვალიფიკაციის აწევა მე-7, 8 და 10 ხარისხამდე.

ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროთ სცნო შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის გაფართოვება უმუშევართა გადამზადების დარგში, და აგრეთვე კვალიფიციურ მუშა-ძალის მომზადების საქმეში ჩაბმული უნდა იქნან ქალებიც.

ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო აგრეთვე შინამრეწველობის შეგირდობის შრომისა და ხელფასის მოწესრიგება.

კოოპერაციის ხარჯების შემცირება

მოსკოვი, 17 მარტი. ცენტრალურმა კოოპერატიულმა საბჭომ მიმართა ყველა კოოპერატიულ ცენტრებს წერილით, რომელშიაც მიუთითებს კოოპერაციის ხარჯების შემცირებაზე.

კოოპერატიულ ორგანოების ხარჯები, როგორც ეს ცხადყო ამასწინად მოხდენილმა გამოკვლევამ, უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ ძალიან დიდია. საბჭო დაჟინებით ურჩევს კოოპერატიულ ცენტრებს და ადგილობრივ კავშირებს დაუყოვნებლივ შეუდგენ გასავლის მუხლებისგადასინჯვას ხარჯების შემცირების მიზნით. საბჭოს საჭიროდ მიაჩნია კერძოდ შემცირებულ იქნეს ხარჯები პირად პერსონალსა და ზედმეტ სამუშაოზე და სავსებით აღმოფხვრილ იქნეს ისეთი ხარჯები, რომელიც შრომის კანონმდებლობაში და კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ არის. შემცირებული უნდა იქნეს ხარჯები მივლინებასა და მოგზაურობაზე. საგამომცემლო ხარჯები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, უნდა შემცირდეს სტატისტიკური მუშაობაც. დაუზოგავი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს მფლანგველობის წინაამდეგ. კოოპერატიული ორგანიზაციები სასამართლო ინსტანციებში უნდა იცავდენ თავიანთ ინტერესებს, გაფლანგულ თანხებს და ქონებას უნდა ფარავდენ გამფლანგველის სხვა წყაროებიდან.

ქალთა შორის

ქალთა დღე ნიგოითის თემში (გურია)

8 მარტს ნიგოითის თემში შესდგა ქალთა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრო 66-დე ქალი. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაკეთებულ იქნა მოხსენება 8 მარტის მნიშვნელობაზე. დაბოლოს ახალგაზრდა ქალებმა წაიკითხეს რევოლიუციონური შინაარსის ლექსები ქალთა ცხოვრებიდან.

ა. გოგეშვილი.

საზეიმო სხდომა 8 მარტის აღსანიშნავად (ქუთაისი)

8 მარტს, სალამოს, ქუთაისის აკადემიურ თეატრში ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შესდგა დელეგატ-ქალთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვ. ორგანიზაციების წევრებიც. კრებას მიესალმენ პარტკომის, პროფკავშირების, საბჭოს, კომკავშირის და წითელი ჯარის წარმომადგენლები. კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ცეკას ქალთა განყოფილებას.

ზალი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ა. ლ. კ. კ. უჯრედი (ასურეთი, თბილ. მაზ.)

სოფ. ასურეთში არის ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელიც დაარსდა 1924 წელში. უჯრედში დღეს ირიცხება 14 წევრი, მათ შორის ორი ქალი. თემკომის სწორი ხელმძღვანელობით, უჯრედის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. მისი ავტორიტეტი უპარტიო გლეხობაში იზრდება. კალონია ასურეთის გერმანელი ახალგაზრდობა თანდათან უახლოვდება და გვერდში უდგება უჯრედის წევრებს.

ახალგაზრდა გერმანელებს შორის დაარსებულ იქნა ოთხი სხვადასხვა წრე. 8 მარტს მოხდა ხელახალი გადარჩევა ბიუროს წევრების, ახლად არჩეული ბიუროს წევრები იმედი არის კიდევ მეტ საქმეს გააკეთებენ და უფრო დააახლოებენ ახალგაზრდა გერმანელებს. სხვათა შორის უჯრედი კარგად მუშაობს აგრეთვე მოჯამაგირეთა შორის.

ახკორი ა. დ. მათხოჯელი.

ბიუროს საყურადღებოთ (საგარეჯო, გარე-კახეთი)

სოფელ საგარეჯოში არსებობს პარტიის უჯრედი, რომელიც აერთიანებს 16 წევრს და 20 კანდიდატს. ამ ერთი თვის წინეთ მოხდა ბიუროს გადახალისება, აირჩიეს ახალი ბიურო. კვირაში ერთხელ უნდა ყოფილიყო უჯრედის კრება, მხოლოთ ხშირი არის ისეთი შემთხვევა, რომ ორ კვირაში ძლივ-ძლიობით ეწყობა კრება, რაც მუშაობას აფერხებს. პარტიის წევრები და კანდიდატები ხშირათ აკლდებიან კრებას. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ბიურომ და მდივანმა.

გულმოდგინე.

კოოპერაცია

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის შედეგები

(საუბარი ამხ. ტოროშელიძესთან)

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-11 ყრილობას, განაცხადა ამხ. ტოროშელიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა მუშაობა.

ყრილობამ ზედმიწევნით საქმიანად ჩაატარა მუშაობა. ყრილობის გახსნის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე დარბაზი სავსე იყო და თითქმის არც ერთ დელეგატს არ დაუტოვებია სხდომა. ეს სერიოზულობა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ბედით უაღრესად დაინტერესება დელეგატებმა დაამტკიცეს თავიანთ საქმიანი კრიტიკითაც.

მართალია, ყოველი კოოპერატივი გაჭირვებას განიცდის დღეს კრედიტების საჭიროების მხრივ, მაგრამ ამავე ყრილობამ გამოარკვია, რომ ჩვენი ძირითადი კოოპერატივების მუშაკებში ღრმად აქვს ფესვი გადგმული საკუთარ თანხების შექმნის შეგნებას. ჩვენ გვწამს, რომ ისინი ამას მიაღწევენ და ამით თავს დააღწევენ ახლანდელ ფინანსიურ კრიზისს.

ყრილობაზე გამოირკვა ზგრეთვე მეორე და მთავარი შეგნება კოოპერატორებისა; ეს არის ურთიერთ-შორის მჭიდრო კავშირის გაბმა. ცალკე კოოპერატივების მუშაკებს ღრმად სწამთ, რომ თვითეული მათგანი ცალცალკე ვერ გაიხარებს თუ კავშირში არ იქნენ ერთმანეთთან და ხელი არ შეუწყვეს ერთმანეთს.

თუ აქამდე სუსტი იყო კავშირი ცალკე კოოპერატივებს და ცენტრს შორის, მომავალში ამას ადგილი აღარ ექნება. ეს პროცესი მით უფრო სწრაფად მოხდება, რომ დღევანდელი ტკივილები ჩვენი კოოპერაციის ნაწილობრივ გამოწვეულია ამ დაქსაქსულობითაც.

ყრილობა დამთავრდა და რწმუნებულებიც გაემგზავრენ თავთავიანთ რაიონებში. ისინი დაიშალენ ღრმა რწმენით, რომ მომავალ ყრილობაზე უფრო განმტკიცებული ორგანიზაციების წარმომადგენლებად შეიკრიბებიან. ცეკავშირის ახალი გამგეობა კი მიიღებს ყოველგვარ ღონეს, რომ განახორციელოს ყრილობის მიერ გამოტანილი დადგენილებანი. გამგეობა ეცდება კიდევ უფრო სწორ სამომხმარებლო გზაზე დადგეს; მაგრამ ამავე დროს ნებას არ მისცემს სხვა სისტემის ორგანიზაციებსაც შეიჭრან მის ფუნქციებში.

ა.—ნ.

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
გადავიდა
ახალ ბინაზე რუსთ. პრ. 34

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ეგონ პეტრის კონცერტი

ქუთაისი, 17 მარტი. ეგონ პეტრის კონცერტი აკადემიურ თეატრში დიდის წარმატებით ჩატარდა. მიუხედავათ ბილეთების სიძვირისა, თეატრი ხალხით სავსე იყო.

სახალხო მსაჯულების დაპატიმრება სიმთვრალისთვის

ქუთაისი, 17 მარტი. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით, დატუსაღებული არიან სახალხო მოსამართლენი უგულავა გიორგი და თედორაძე ვლადიმერი, რომელნიც სასამართლოს სხდომაზე მელიტონ ჩახჩიანის მკვლელობის საქმის გარჩევის დროს მთვრალები გამოცხადდენ. დატუსაღებულია აგრეთვე მოწმე ისიდორე ფირცხალავა სასამართლოს სხდომაზე შეუფერებელი საქციელისათვის.

სასამართლოს სხდომა შეწყვეტილ იქნა და სხდომა გადაიდო.

ახალი ტყის სახერხი ქარხანა

ახალ-სენაკი, 17 მარტი. დიდი ჭყონის სათემო საბჭო აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საამშენებლო კომიტეტთან ერთად შეუდგა ახალი ტყის სახერხი ქარხნის აგებას. ქარხანა აშენებულ იქნება ტყის მახლობლად.

ქარხნის ამუშავების შემდეგ სატყეო მასალის ფასი საგრძნობლად დაეცემა.

მოსახლეობა ყოველმხრივ ხელს უწყობს ქარხნის აგებას.

საქონელი ამიერ-კავკასიისათვის

ფოთი, 17 მარტი. საზოგადოება „ტრანსპორტმა“ მიიღო და დაგზავნა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში 28 ვაგონი თეთრი ფქვილი, 8 ვაგონი სამარხო ზეთი და 2 ვაგონი სემიჩქა.

ფანერის ფაბრიკის გაფართოება

ბათომი, 17 მარტი. „აჭარპრომტორგის“ ფანერის ფაბრიკამ საბჭოთა რუსეთიდან მიიღო ფანერის მსხვილი დაკვეთა. ამასთან დაკავშირებით ხდება ფაბრიკის გაფართოება. იდგმება ახალი მამოძრავებელი და დაზგები.

საქონელი სოფლად

ბათომი, 17 მარტი. აჭარცეკავშირმა მიიღო 10.000 მეტრი ნარმა, ნახევარი ვაგონი ჩითი და დიდი რაოდენობის სოფლის ოჯახისათვის სახმარი საგნები.

საქონელი განაწილებულია აჭარისტანის კოოპერატივებს შორის.

ნავთსადგურში

ბათომი, 17 მარტი. უკანასკნელ დროს ნავთსადგურს გამოცოცხლება ემჩნევა.

რეიდზე სდგას 5 უცხოეთის გემი. ჰამბურგიდან მოვიდა გემი „შიკელსი“, რომელმაც ტრიესტიდან მოიტანა 3.146 ტონი სხვადასხვა საქონელი. მოვიდა აგრეთვე გემი „გასცეინი“ 350 ტონა საქონლით, ნოვოროსიისკიდან —მოტორიანი გემი „აბრაამ ივანოვი“ 49.358 კილო ფქვილით. საზღვარგარეთ წავიდა გემი „კამენეც-პოდოლსკი“ 250 ტონი ნიგვზის ხით.

წერილები

არჩევნების ორგანიზაცია მოისუსტებდა

(წერილი სენაკიდან)

11 და 12 მარტს ჩატარდა ქალაქის საბჭოს არჩევნები.

წინასწარ 10 მარტს, მუშათა კლუბში ჩატარდა ამომრჩეველთა საზოგადო კრება, სადაც მოსმენილ იქნა საბჭოს წლიური ანგარიში და ახალ საბჭოსთვის კი შემუშავებულ იქნა განაწესი (ნაკაზი).

არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ ქალაქის მცხოვრებთათვის ყოფილი საბჭოს მუშაობის გაცნობა ვერ მოხერხდა ისე, რომ ეს ყოფილიყო ქალაქის ღარიბ ფართე მოსახლეობისათვის მისაწონი და აი რატომ.

კლუბში თავი მოიყარა მუშა-მოსამსახურეებმა. ქალაქის მკვიდრ მცხოვრებთ, განაპირა უბნების მოქალაქეთ ან სულ ან ძალიან მცირე რიცხვს ვხედავდით. საარჩევნო კომისიას უნდა დაეყო ქალაქი ოთხ უბნად. უნდა მოეწვია უბნებათ საზოგადო კრებები და საბჭოს მუშაობა ადგილობრივ გაეცნო ამომრჩევლებისათვის. ამას ექნებოდა ფასი და ღირებულება. ამით საზოგადოება გაეცნობოდა საბჭოს. თორემ ჯერ კიდევ ქალაქში ბევრია მცხოვრები, რომელსაც ქალაქის საბჭო ვერ გაურჩევია სამაზრო აღმასკომიდან და თუნდაც მილიციისაგან.

მართალია კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 85 პროცენტი მაგრამ, რომ ეს არჩევნები უბნებად ჩატარებულიყო—ქალაქის მოსახლეობა თუ არა 100 პროცენტი, 80—მაინც მიიღებდა მონაწილეობას.

საზოგადო კრება უფრო მუშა-მოსამსახურეების კრებას წარმოადგენდა.

ქალაქ სენაკისათვის სულ ასარჩევი იყო 45 დეპუტატი.

პირველ უბანში 20 დეპუტატი და მეორე უბანში 25 დეპუტატი.

სიები წარმოადგინეს კომორგანიზაციამ და აგრეთვე სხვადასხვა პირებმა.

კენჭი ყრა პერსონალური იყო. გაიმარჯვა კომფრაქციის სიამ.

ბ. ფუჩანეიშვილი.

განათლების საქმე ობუჯის თემში

(ობუჯის თემი, ზუგდ. მ.)

რამდენიმეჯერ მივმართეთ მაზრის განათლების განყოფილებას, რომ გაეხსნათ ჩვენში შვიდწლედი. განათლების განყოფილებისაგან სათანადო გეგმაც მივიღეთ შენობის ასაშენებლათ. მაგრამ არავითარი იმედი არ მოგვცეს იმისათვის, რომ შენობის აშენების შემდეგ გაიხსნებოდა შვიდწლედი. ამის გამო შენობის აშენებაც ვერ გავბედეთ.

ობუჯის თემში პირობებიც ხელს უწყობს შვიდწლედის გახსნას. მოწაფეთა რიცხვი საკმარისზე მეტია. დღეს ობუჯის თემის მოწაფეები სანახევროთ სკოლის გარეთ არიან დარჩენილნი. გლეხობამ უსახსრობის გამო ვერ შესძლო მოწაფეების სხვაგან გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლათ. გლეხები იმედს გამოსთქვამენ, რომ განათლების განყოფილება აიღებს ობუჯის თემის შვიდწლედის გახსნის ინიციატივას თავის თავზე.

რაც შეეხება ქოხ-სამკითხველოს, მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. თემის სხვადასხვა კუთხეებში დაარსებულია კულტურული წრეები, რომელთაც უშუალო დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს ქოხ-სამკითხველო, როგორც გაზეთებით, ისე საგლეხო ლიტერატურით.

გ. კაკაჩია

ფურაშის გლეხებთან (ზუგდ. მ.)

ეს სოფელი მდებარეობს ენგურის ხეობაში. სოფელი პატარაა. ის 81 კომლისაგან შესდგება. საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა 200 კაცი. გლეხები ამბობდენ ეს პირველი შემთხვევაა თავი შევიყარეთო. კრება ჯერ სულ არ ყოფილა აქაო. ქალები თითქმის კრების ნახევარს წარმოადგენდენ.

კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი საბჭო. ხალხი იქვე აძლევდა ნაკაზს ახალ საბჭოს.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, გლეხების ჩივილი მგლებისაგან დაზარალებაზე. როგორც გამოირკვა, ამ მოკლე ხანში მგლებს შეუჭამია 144 თხა და ცხვარი და 14 ძროხა და ხარი. ასეთ ზარალს აყენებს მგლები ფურაშს. ახალმა საბჭომ უნდა მოაწყოს ნადირთან ბრძოლა ხაფანგებით და სხვა საშუალებით.

ლუკა კიკიანი.

ძველი ზნე არ მოიშალეს

(ზომლეთის თემი, გურია)

ზომლეთის თემში სამი სოფელი შედის: ვანი, ჯანჯათი და თვით ზომლეთი. ამ თემში საბჭოთა არჩევნები მოხდა 9 მარტს. არჩევნები თვითეულ სოფელში ცალ-ცალკე მოხდა.

სოფელ ჯანჯათში და ვანში არჩევნებზე მომინშევიკო ხალხმა სცადა კბილების გამოჩენა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ზომლეთში კი არჩევნები წესიერათ ჩატარდა და კანდიდატების დასახელების დროს საქმიანი მიდგომა იყო.

უატი.

წერილებიდან

გორი

სამკითხველოს ორი გამგე ჰყავს, ერთი მათგანი თავხედია. გორის მუშათა კლუბთან სამკითხველო არსებობს. სამკითხველოს ორი გამგე და ერთი დარაჯი ჰყავს. გამგეებს, რომ ჰკითხოთ ორია სამკითხველო თითქოს, მაგრამ ერთ ოთახში თუნდაც ორ სამკითხველოს რათ უნდა ამდენი გამგეები?

გარდა ამისა სამკითხველოს ერთ-ერთი გამგე ფავლენიშვილი უდიერათ ეპყრობა დარაჯ ქალს. ამას წინათ სცემა კიდეც, მასთან საქმისათვის მოსულ დარაჯ ქალს სახლში.

რას იტყვის ამის შესახებ კლუბის გამგეობა,

ისარი.

ზემო თიანეთი (თბილ. მ.)

ახალი კოოპერატივი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავზე ჩვენს სოფელში გაიხსნა კოოპერატივი „იმედი“. წინათ ჩარჩები ტყავს აძრობდენ გლეხებს. დღეს კოოპერატივი წარმატებით მუშაობს. წევრები დღითი-დღე იზრდება, ვაჭრობაც კარგათ მიმდინარეობს.

ტონა.

ს. იანეთი (ქუთ. მ.)

დაუზოგავი ექსპლოატაცია. აქ არის საზეინკლო სახელოსნო, რომელიც ეკუთვნის კერძო პირებს. მათ ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შეგირდები. ბავშები 6 საათის ნაცვლად 12 საათს მუშაობენ. ხაზეინები ამასთანავე აგინებენ და ამცირებენ შეგირდებს. შრომის ინსტრუქტორო, საჭიროა შენი თვალი.

შევარდენი.

სოფლის ქრონიკა

— **სოფ. ქვემო-ჭალის** (გორ. მ.) აღმასკომმა გადასწყვიტა ზაალიშვილებისეული სახლი გადააკეთოს სკოლად.

— **სოფ. დირბის** თემაღმასკომმა დაადგინა სოფლის ცენტრში აგოს კლუბი.

— **გორის** აღმასკომმა გაგზავნა ქარელის თემში აგრონომი.

— **გორის** აღმასკომმა დაადგინა გააშენოს ბაღი მდ. მტკვარის ნაპირათ, რისთვისაც გადასდო 3,423 მანეთი.

წითელ ჯარში

მე-2-ე დივიზიის ნაწილების საყურადღებოდ

ცხადდება ჯილდოები, რომლითაც დასაჩუქრებული იქნებიან საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მიერ ვინც კონკურსის შედეგათ შეასრულებს გაზეთ „წითელ არმიელ“-ს № 54 (1049) მოთავსებულ პირობებს.

საკონკურსო წერილები უნდა თავსდებოდეს გაზ. „წითელ არმიელში“ ან „კომუნისტში“ 1 აპრილამდე, რომლის შემდეგ საკონკურსო კომისია ერთი კვირის განმავლობაში გამოაქვეყნებს შედეგებს.

საუკეთესო სამხედრო კუთხისათვის დანიშნულია 3 სახის ჯილდო

1 (საუკეთესო). ვინც შესრულებს პირობებში წამოყენებულ ყველა მოთხოვნილებებს რაიონის ფარგლებში მათი სურვილის და მიხედვით გაეხსნებათ სანიმუშო სამხედრო კუთხე. კუთხის გამგე დაჯილდოვებული იქნება მაჯის საათით.

2 (კარგი). ვინც დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ მთავარ-მნიშვნელოვან პუნქტებს—გამოეწერება ერთი წლით თითო ეგზემპლიარი გაზეთებისა: „კომუნისტი“, „ახალი სოფელი“ და მიეცემათ სურათები: ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის, შ. ელიავასი ჩარჩოებში გაწყობილი.

კუთხის გამგეს გამოეწერება ერთი წლით გაზეთი: „კომუნისტი“, „წითელი არმიელი“ და ჯონ-რიდის რომანი „ათი დღე, რომელმაც შეარყია მთელი ქვეყანა“.

3 (დამაკმაყოფილებელი). ასეთებს მიეცემათ ამხ. ვოროშილოვის სურათი, ჩარჩოებში გაწყობილი და კუთხეს და გამგეს (ცალ-ცალკე) გამოეწერებათ გაზ. „წითელი არმიელი“ ერთი წლით.

საუკეთესო ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელზე

1) საზაფხულო სამხედრო ტანისამოსი და ფეხსაცმელები.

2) საზაფხულო სამხედრო ტანისამოსი (შალვარ-ხალათი).

საუკეთესო ბიბლიოთეკარზე იქნება 3 სახის ჯილდო

1 (საუკეთესო). შევსებულ იქნება ბიბლიოთეკა თხუზულებებით ლენინის, ტროცკის, ბუხარინის, ზინოვიევის, მახარაძის და სხვა. გამოეწერებათ 3 სხვადასხვა გაზეთები (მათი სურვილის და მიხედვით) ერთი წლით, ყველა ეს ღირებულებით 40 მან. ბიბლიოთეკარი დაჯილდოვებული იქნება 10 მან. ღირებულების ლიტერატურით.

2 (კარგი). ბიბლიოთეკა შევსებული იქნება ლიტერატურით და გამოეწერებათ 2 სხვადასხვა გაზეთები 6 თვით, სულ ღირებულებით 20 მან. ბიბლიოთეკარი დაჯილდოვებული იქნება ლიტერატურით ღირებულების 5 მან.

3) (დამაკმაყოფილებელი). ბიბლიოთეკა შევსებული იქნება ლიტერატურით და გამოეწერება 2 სხვადასხვა გაზ. 3 თვით ღირებულებით სულ 15 მან. ბიბლიოთეკარი დაჯილდოვებული იქნება 3 მან. ღირებულების ლიტერატურით.

ჯილდო საუკეთესო მომუშავეებს წ. ქ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში:

აქ იგულისხმება ამ დარგში მომუშავეები წ. არმიელებთანაც.

1) ჩექმები ხრომის, ღირებულებით არა ნაკლებ 25 მან.

2) ბათინკები ღირებულებით არა ნაკლებ 15 მან.

3) ჩექმები აზიური—არა ნაკლებ 10 მან.

ჯილდო მეთაურს აქტიურ პოლიტსაგანმანათლებლო და საზოგადო მომუშავეს:

აქ იქნება სამი სახის ჯილდო.

1) ლენინის მთელი თხუზულებები;

2) ფ. მახარაძის თხუზულებები.

3) გამოეწერება ერთი გაზეთი, ან ჟურნალი, (რომელსაც თვითონ მოისურვებენ) ერთი წლით.

სამხედრო საქმეში აქტიურ პოლიტმომუშავეს:

იქნება სამი ჯილდო.

1) მეთაურის ბიბლიოთეკა.

2) ჟურნალი „ვოენი ვესტნიკ“—ნახევარი წლით

3) წითელი არმიელის ბიბლიოთეკა.

წითელ ჯარში

რკინის გზებზე

ამხ. შ. ელიავას ბრძანება

პირველ მარტს, სად. ნავთლუღში მომხდარ მატარებლის დაჯახების გამო გზათა-მიმოსვლის კომისრის რწმუნებულმა ა.-კავკასიაში ამხ. ელიავამ გასცა შემდეგი ბრძანება ა.-კ. რკ. გზებზე:

1 მარტს, სად. ნავთლუღში მატარებელი № 340 მემანქანე ნ. ჩახავას და მის თანაშემწის რ. ასიტოვის მთვრალ მდგომარეობის დროს შეეჯახა გვერდში სახალხო მატარებელს, შემოვიდა რა სადგურში დახურულ სემაფორის ქვეშ.

მიმაჩნია რა ეს შემთხვევა გზის აგენტების სამსახურის დროს ჩადენილ განსაკუთრებულ დანაშაულათ, წინადადებას ვიძლევი აღნიშნული პირები დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან ტრანსპორტზე მერმისში სამსახურის უფლების აღკვეთით და მათი საქმე გადაეცეს პროკურატურას.

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს წინადადება ეძლევა მიიღოს უსასტიკესი გადამჭრელი ზომები გზის აგენტების ასეთ დუდევრობის და დანაშაულებათა აღმოსაფხვრელად.

ხარჯთ-აღრიცხვის კომისია

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოსათან არსებული სახარჯთ-აღრიცხვო კომისია გუშინ გაემგზავრა აზერბეიჯანის ხაზზე, იქ საჭირო მუშაობათა გამოსაკვლევათ.

პ'რ'ზის კომუნის კუთხე საქ. რევოლიუც. მუზეუმში

პარიზის კომუნის კუთხე საქართველოს რევოლიუციის მუზეუმში

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი ღირსეულად შეეგება პარიზის კომუნის 55 წლის თავს: მას დღეისათვის მოურთავს თავისი ერთ-ერთი დარბაზი სურათებით, რომელიც საკმაო ნათელ წარმოდგენას იძლევა პარიზის სახელოვანი კომუნართა ბრძოლაზე.

გამოფენა შეიცავს ჩარჩოებში ჩასმულ 5 დიდ სურათს.

პირველ ორ ჩარჩოში მოთავსებულია პარიზის კომუნის მებრძოლ მოღვაწეთა და კომუნის სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელთა სურათები (ბლანკი, ვარლენი, ფრეიკერი, რიგო, ფერე, ავრიელი და სხ.).

ამავე ჩარჩოში ჩასმულია პარიზის კომუნის ისტორიის მოკლე მიმოხილვა და პარიზის კომუნის სხვადასხვა კომისიების წევრთა შემადგენლობა. კომუნართა პორტრეტებს შუა მოთავსებულია ეპიზოდები პარიზის კომუნის ცხოვრებიდან (სურათები—„კომუნის გამოცხადება“, „პარიზის კომუნარების თათბირი“, ბრძოლა მონმარტზე და სხვ.).

ამავე ჩარჩოში მოყვანილია მარქსის, ენგელსის და ლენინის აზრები პარიზის კომუნის მნიშვნელობის შესახებ.

მეორე ჩარჩოში მოცემულია კომუნის დამარცხების ისტორია მხატვრული სურათების საშუალებით და კომუნის მთავარი ჯალათების პორტრეტებით. აქ არიან—ტიერი, გალიფე, მაკ-მაჰონი, სისეი და სხვა მათი მგზავსნი.

ეპიზოდურ სურათებში ყურადღებას იპყრობს „კომუნის 17 მთავარ წევრის გასამართლება“, „ტყვე კომუნარები ვერსალში“, „კომუნარების დახვრეტა“, „დახოცილი კომუნარები“, „კომუნის უკანასკნელი დღე“ და სხ.

ამ ჩარჩოს თან ახლავს ამონაწერი მარქსის მონოგრაფიიდან.

„მუშათა პარიზი თავისი კომუნით—მუდამ პატივისცემით მოსაგონარი იქნება, როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი მოწამეებმა მისმა ძეგლი აიგეს მუშათა დიად გულში. ისტორიამ უკვე სამარცხვინო ბოძზე გააკრა მისი ჯალათები და მათ ამ ბოძისგან ჩამოხსნას ვერავინ შესძლებს“.

პარიზის კომუნის მიმოხილვაში აღნუსხულია აგრეთვე ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს პროლეტარიატის პირველი დიქტატურის დამარცხება. მიმოხილვის ავტორის აზრის დასამტკიცებლად მოყვანილია მარქსისა და ლენინის შემდეგი სიტყვები.

„კომუნა პარლამენტალური დაწესებულება კი არ უნდა გამხდარიყო, არამედ საქმიანი კოლეგია, რომლის ხელშიდაც უნდა ყოფილიყო, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო უფლება“.

მარქსი.

„როცა პარიზის კომუნის გაკვეთილებსა ვსწავლობთ, ჩვენ მის შეცდომებს კი არ უნდა მივბაძოთ, არამედ მის პრაქტიკულ სწორ ნაბიჯებს, რომელნიც ნამდვილსა და სწორ გზას გვიჩვენებენ“.

ლენინი.

ნ—ი.

ქრონიკა

სასოფ.-სამ. იარაღების გამოწერა

ა.-კ. სახელმწ. ვაჭრ. სამმართველომ გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან საკის და ფლეტსტერის მარკის გუთნები.

— საქ. სას.-სამ. ბანკი იძენს 20.000 მანეთის სასოფ.-სამ. იარაღებს დასავლეთ საქართველოს გლეხობისათვის.

რადიო-სადგური

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ამერიკაში იძენს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატისათვის დიდ რადიო-სადგურს, რომელიც ღირს 200.000 მანეთად.

რამდენი საქონელი შემოიტანეს

თებერვალში ა.-კავკასიაში შემოტანილ იქნა: 1.761.000 ფ. პური, 440.000 ფ. შაქარი და 83 რონოდა ბამბეულის მანუფაქტურა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

კამპანიის დაწყებიდან 1 მარტამდე ა.-კავკასიაში აკრეფილია 3.693.085 მან., ანუ 69 პროც. საქართველოში აკრეფილია 1138558 მ., აზერბეიჯანში 1.837.529 მ. და სომხეთში 718.398 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ ქალაქის ლომბარდმა 1924—25 წლის განმავლობაში მოიგო 43.894 მან.

◆ **ხორცი ქალაქს.** ქალაქის სასაკლაოზე თებერვალში მორეკილი იქნა 9.895 სული საქონელი, აქედან დაიკლა 8.613 სული.

◆ **ტურბინები.** ზაჰესის საჭიროებისათვის საზღვარ-გარეთიდან მიღებული იქნა სამი ტურბინი, ხოლო ერთი ლენინგრადიდან.

◆ **მიწათ-მოწყობა.** თბილისის აღმასკომის განყოფილებამ გ. წ. მიწათ-მოწყობის საქმე დაამთავრა მაზრის 21 სოფელში. ამჟამად სწარმოებს მუშაობა დანარჩენ სოფლებში.

◆ **კომუნალურმა ბანკმა** დღემდე მთელ რესპუბლიკაში გახსნა თავისი 7 განყოფილება.

◆ **წყალის მიწოდება.** თებერვალში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 27.035.005 ვედრო წყალი.

ჯანსახკომში

◆ **ექიმების გადამზადება.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს სანიტ-ექიმების და სასამართლო ექსპერტ-ექიმების გადასამზადებელი კურსები.

◆ **აფთიაქების გამოკვლევა.** ჯანსახკომის ფარმაცევტიულ განყოფილებას დაევალა დაჩქარებით შეუდგეს პროვინციებში არსებულ აფთიაქების გამოკვლევას ყოველმხრით.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან სესხად მიეცად 3 მილიონი მანეთი. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად.

◆ **ნავთსადგურების** კეთილ-მოსაწყობათ ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილებამ დამატებით გადასდო ნახევარი მილიონი.

◆ **პარკის მოსავალი.** გასულ წელს მთელ ა.-კავკასიაში დამზადებული იქნა 237 ათასი ნედლი აბრეშუმის პარკი.

◆ **საქ. ტყავის ტრესტი** წელს თავის ქარხნებისათვის დამზადებს 70.000 ცალ ტყავს.

◆ **თხილის გატანა.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკაში გაგზავნა ზუგდიდის მაზრიდან რამოდენიმე ვაგონი თხილი.

წითელ ჯვარში

◆ წითელი ჯვრის საზოგადოებამ ახალციხესა და ზუგდიდის მაზრებში მოაწყო სამაზრო კომიტეტები.

◆ **აფხაზეთის წითელი ჯვრის** კომიტეტმა გადასწყვიტა საკუთარ საშუალებათა გაძლიერების მიზნით გააფართოვოს თავის ქვემდებარე წარმოება-დაწესებულებათა რიცხვი.

◆ **სანიტარული ავტომობილები.** საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ შეიძინა 10 სანიტარული ავტომობილი.

კრებები და მიტინგები

◆ **განათლების მუშაკთა** სახლში 19 მარტს, საღამოს 7 საათზე დოცენტი ნიკ. იოსელიანი გააკეთებს მოხსენებას: „მენდელიზმის ძირითადი პრინციპები“.

შემთხვევები

◆ **გადმოვარდნა.** 10 მარტს, სოფ. გომბორში სახლის სახურავიდან გადმოვარდა სტეფანე სპირდონოვი, რომელიც უკვე გარდაიცვალა.

◆ **შეპყრობა.** სოფ. პატარძეულში შეიპყრეს სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის პეტრე ოსიტაშვილი.

◆ **ქურდი მკითხავი.** 16 მარტს, საღამოს 5 საათზე მესამე სამ. უბანში მცხოვრებ კარაპეტ ჩასმაზაზოვის ცოლთან სამარჩიელოდ მისულა მკითხავი იალიშოვა ირინე, რომელსაც რაღაც წამლით დაუძინებია ჩასმალიზოვის მეუღლე და გაუქურდავს მისი ბინა. ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** 16 მარტს გაქურდეს სიმონ კახმინაშვილის ბინა, წაღებულია 500 მან. ნივთები.

ამავე დღეს ანტონოვის ქ № 12 გაქურდეს მოქ. სონია ოქროვაძეს ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები.

13 მარტს გლეხთა ცენტრ. სახლიდან მოქ. გიორგი სულავას მოპარეს პალტო. ქურდი იასონ ანთაძე მიმალულია.

სინგოროვის დუქნის გაქურდვისათვის შეიპყრეს ალი-გურზა თალი ოღლი.

ხელოვნება

კონსერვატორიაში

მოწაფეთა მეექვსე საღამოს პროგრამაში შეტანილი იყო უმთავრესად ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოები. შესრულებული იყო კომპოზიტორ არაყიშვილის ვოკალური ნაწარმოები. არაყიშვილის რომანსები მელოდიურია, მათში სჭარბობს აღმოსავლური კოლორიტი.

ლამაზია ბალანჩივაძის რომანსები, მათში უფრო მეტია ადგილობრივი კოლორიტი.

პირველად იყო შესრულებული ბარბარე ამირეჯიბის ვოკალური ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს ლირიზმი და მუსიკალობა. მისი დუეტი დაწერილია ჩაიკოვსკის ზეგავლენით. ეს ნაწარმოები ამტკიცებს ბარბარე ამირეჯიბის კომპოზიტორულ ნიჭს.

ზაქ. ფალიაშვილის ნაწარმოებებიდან შესრულებული იყო დუეტი ოპერა „აბესალომ და ეთერი“-დან და რომანსები. პირველად იყო შესრულებული ქართველ კომპოზიტორების ინსტრუმენტალური ნაწარმოებები, აქ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული და შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ნაწარმოებთა მუსიკალურ ღირსებაზე.

სამწუხაროდ პროგრამაში არ ყოფილა შეტანილი ბალანჩივაძის და ზ. ფალიაშვილის და ახალგაზრდა კომპოზიტორების—ჯარაშვილის, თაქთაქიშვილის და ანდრო ბალანჩივაძის ნაწარმოებები. შემსრულებლებიდან უნდა აღინიშნოს: ბერძენიშვილი, გენიე, გრიგორიან-ოვჩარენკო, დაფქვიაშვილი, ნიკოლაძე და ოვანესიანი.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პიროგოვის გასტროლი.** 19 მარტს, ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილი მომღერალის (ბასი) პიროგოვის პირველი გასტროლი.

◆ **„ურიის ქალი“.** ხვალ ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ურიის ქალი“.

◆ **ანრი-ჟილ-მარშეს** პირველი კონცერტი გაიმართება 20 მარტს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **სანდრო ინაშვილი** კვირას იმღერებს ოპერა „დაისში“.

◆ **„დეზერტირკა“.** შაბათს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

◆ **სომხეთის კინო-მრეწველობა** თბილისში ხსნის თავის განყოფილებას.

დღეს კინოებში

◆ აპოლო—„ჯვარი და მაუზერი“.

◆ მინიონი—„მშვენიერი ელენეს მოტაცება“.

◆ სოლეი—„ნიბელუნგები“.

◆ არფასტო—იგივე.

◆ ოდეონ—„ორი ობოლი“.

ღია წერილი

ლიტერატურულ სინიდისის „დარაჯებს“

წავიკითხე რა „თეატრი და ცხოვრება“-ს მე-15 ნომერში მოთავსებული ორ-ორი „საპასუხო“ წერილი ჩემს მიმართ: კაიუს პელისა და შ. იმედაშვილისა, რომელნიც ლიტერატურის სინდის-ეთიკის ლექციას მიკითხავენ, ნაღვლიანათ გამეცინა და მომაგონდა ის იგავ-არაკი, სადაც ბრმა და ყრუ სინათლეზე და მუსიკაზე მსჯელობდნენ! ამაზე მეტი სასაცილო ამბავი გინახავთ? სინდის კულტურაზე ლაპარაკობენ ის პირნი, რომელნიც აქვე უმოწყალოდ სწიხლავენ ზნეობის ელემენტარულ დებულებასაც კი და თავის ქვენა ზრახვების მისაღწევად არ ერიდებიან: პირველი (კაიუს პელი)— დაბეზღებას მეორე (შ. იმედაშვილი) სიყალბეს.

დავიწყებ პირველისგან. კაიუმ პელი, განაგრძობს თავის „დანოსებს“, მხოლოდ ეხლა ცალი ფეხი გადაუტანია სხვა ახალ სტრატეგიულ პოზიციაზე—(სჩანს მარტო ნაციონალური წასისიანება არც ეგრე საიმედოა!)—და ჩემს წინაღმდეგ გამოუგორებია ასეთი მძიმე არტილერია როგორც შემდეგი მხილება: „როდის იყო, რომ რომელიმე მწერალი ასე თავხედათ ექცეოდა რევოლიუციას და აყენებდა მის ასეთ მახინჯ გაგებას?“-ო.

მკითხველისთვის მიმინდვია თვითონ გასაჯოს, რა სუნი და ელფერი აქვს ამ სტრიქონებს? მე კი ასე მოვახსენებ კაიუს პელის: დიახ, რევოლიუციას „ვემდური“, ძალიან „ვემდური“, რომ თავის რკინის ცოცხით ჯერაც ვერ გაუგვია პრესის ასპარეზიდან თქვენისთანა კალმოსნები, რომელთაც, გადაგიცვამთ რა ახალი წითელი სამოსელი, მისი ვითომდა „დამცველობა“ გიკისრნიათ! ყმაწვილებო! „Нельзя быть именинником и на Онуфрия и на Митрофана!“... მაგ საუალებით ფონს ვერ გახვალთ! ვერც მაგით და ვერც ამნაირი სტრიქონებით: „ვინ არ იცის, რომ „დეზერტირკა“ მასხარათ იღებს ერის უნაზეს ტკივილებს და ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში მას მჭელავს, პატივს არ სცემს“. (იხილე კაიუს პელის წერილი „თეატრი და ცხოვრება“-ს მე-15 ნომერში).

რაც შეეხება ჩემი პიესა „დეზერტირკა“-ს ღირსება - ნაკლულოვანების „გარჩევას“ თქვენ მიერ, ერთხელ კიდევ გიპასუხებთ: თქვენი ლანძღვა—ჩემთვის ქებაა, თქვენი ქება—ლანძღვაა! გაიხსენეთ ნეკრასოვის სიტყვები სატირიკოსების ხვედრზე:

„Его преследуют хулы,
Он ловит звуки одобренья
Не в сладком топоте хвалы,
А в диких криках озлобленья!“

და განაგრძეთ ლანძღვის ბორბლის [illegible] „დანოსებზე“ ხელი აიღეთ, თორემ შეიძლება ბრალდებულის სკამზეც წამოსკუპდეთ!

გადავალ ახლა ლიტერატურულ სინიდისის მეორე „დარაჯზე“, შ. იმედაშვილზე. ქალაქე შ. იმედაშვილო! თქვენ უარს ჰყოფთ, რომ ყოველ ჯვარედინ გზაზე მეხვეწებოდით: „მოგვეცით თქვენი პიესა „დეზერტირკა“ ჩვენი კრებულისათვის („ცხოვრების სარკე“-ს მესამე გამოცემისთვის), მოგვეცით თქვენი უკანასკნელ დროის სურათი „თეატრი და ცხოვრება“-ში მოთავსებულათ! გაუწითლებლათ უარჰყოფთ, რომ ერთხელ ლოჟაშიაც კი შემოხვედით ჩემთან, „დეზერტირკა“-ს მესამე წარმოდგენაზე და დიდ გონორარსაც კი მპირდებოდით ჩემს პიესაში, ოღონდ კი მისი გამოცემა თქვენთვის მომენდო. ამის მოწმეთ მე ვასახელებ მ. მოსესძე მღვდლიშვილს, რომელიც ამ დროს ჩემთან ერთად ლოჟაში იჯდა. აბა თქვენც დაასახელეთ ვინმე მოწმეთ, რომ მე შემოგიტანეთ ჩემი სურათი და ბიოგრაფიული ცნობები და გეხვეწებოდით, რომ თქვენ, ჟურნალში მოგეთავსებიათ! არ იცით, საიდან გაჩნდა ეგ ჩემი ახალგაზრდობის დროის სურათი და ბიოგრაფ. ცნობები, რომელიც თქვენ ჩემ დაუკითხავათ და ჩემს საუბედუროთ მოათავსეთ „თეატრი და ცხოვრება“-ს მე-14 ნომერში? არ იცის არც მამა თქვენმა, იოსებ იმედაშვილმა, რომელმაც ამ ოცი-ოცდა ხუთი წლის წინათ გამოსცა ჩემი პიესა „ფული და ხარისხი“ და წიგნში ჩასართავათ ფოტოგრაფ ნორდშტეინთან ორნაირი სურათი გადიღო ჩემი? ჰკითხეთ მამა თქვენს, დაიტოვა თუ არა მაშინ ჩემი ერთ-ერთი სურათი „სახსოვრათ“, როგორც თვითონ ამბობდა? არა, რომელი ბრანდეს-ბელინსკი ბრძანდებით ან თქვენ ან მამა თქვენი, იოსებ იმედაშვილი, რომ მომემართა შემდეგი თხოვნით (როგორც თქვენ სწერთ მოურიდებლათ): „ხმა ამოიღეთ ჩემს პიესაზე, თორემ კრიტს არავინ სძრავსო!“ ერთი მიბრძანეთ: რა დაფნებს შემძლევნიდა ან თქვენი, ან მისი ქება?! მე დიდი კმაყოფილი ვარ იმითი თუ ან პრესა ან საზოგადოება როგორ მიეგება ჩემს ახალ პიესას და თქვენ რა გაწუხებთ, ერთი მიბრძანეთ?!

ნ. აზიანი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ვარაზის ხევში № 5, 1-ლი უბანი, და მიჭირავს ერთი ოთახი, დაახლოვებით ორმოცი კვარდატ. არშინი. ვართ ოთხი სული. ჯამაგირს ვიღებ მე-9 ხარისხით 69 მან. 30 კაპ. ჩემს მეტი მომუშავე არავინ არის.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო სახლის ქირა.

სტამბის მუშა—წივწივაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით თითოეულ კვადრატიულ არშინზე ხუთ ნახევარ კაპეიკს (5,5 კაპ.).

კითხვა

თავშესაფარის ქ. სახლი № 6-ში მიჭირავს ერთი ოთახი 35 კვადრ. არშინი. სულ ვცხოვრობთ 6 სული.

ვმსახურობ პ/ტ. ლითოგრაფიაში მუშაგადამღებად. ვარ მბეჭდავთა კავშირის წევრი (წიგნაკი № 788).

გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინის ქირა თვეში. ძირითად ჯამაგირს ვიღებ 82 მან. 30 კაპ.

პ/ტ. ლითოგრაფიის მუშა რომა წირაშვილი.

პასუხი

თითოეულ კვად. არშინზე ბინის ქირად თვიურად იხდით რვა კაპეიკს.

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება

1926 წ. 8 მარტი. ქ. თბილისი.

§ 1. ცხადდება ქ. თბილისის საზოგადოებრივ, პროფესიონალურ ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ იარაღის რეგისტრაცია გაგრძელებულია ა. წ. 1-ლ აპრილამდე.

§ 2. რეგისტრაციაში გაუტარებელი იარაღი ჩამორთმეული იქნება ყოველ მიზეზს გარეშე და დამნაშავენი კანონიერ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

§ 3. საქ. საგანგებო კომისიის კომენდანტს და სამაზრო ორგანოებს **ვუბრძანებ** სასტიკად დაიცვან ამ ბრძანების მე-2 მუხლი.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—**კვანტალიანი.**

ოპერატიულ-ადმინისტრატიულ ნაწილის უფროსი—**სტანსკი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 18 მარტს, საღ. 6 ს. მთავპოლიტგანში დანიშნულია

წერკუმს-ის ც. გ-ის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

ცენტრ. გამგეობის და ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრებით, რომელნიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან.

გასარჩევია. პლენუმის მოწვევისა და სხვა მნიშვნელობის კითხვები.

მდივანი **სვანიძე.**

ს. კ. პ. ლენრაიკომი გაცნობებთ, რომ 20 მარტს, საღამოს 6 საათზე მე-6 უბნის საღიანდაგო დარგის კლუბში შესდგება თათბირი ადგილკომების ფრაქციების და საუბნო კავშირის, კომუჯრედების თანდასწრებით.

დასწრება ყველა კომუჯრედების მდივნების და ადგილკომების ფრაქციების წევრებისა სავალდებულოა.

იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს ფრაქციები, დასწრება იმ კომუნისტებისა, რომლებიც შედიან ადგილკომში წევრებათ, სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. პარტხელმძღვანელობა და ფრაქციის მუშაობა.

ლენრაიკომის მდივანი—ქავთარაძე.

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ქოროღლიშვილს გამოცხადდეს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში 19, 21, 22, 23 მარტს—დილის 10 საათზე.

პროპაგანდისტთა კურსების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს 18 მარტს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილების სამუშაო კაბინეტში.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო აცხადებს უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 19 მარტს (პარასკევს) საღამოს 5 საათზე მოწვეულია უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.

დღის წესრიგი: ბიურო კოლექტივის მოხსენება და გადარჩევა.

პარტ. დისციპლინის ძალით ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 18 მარტს დილის 10 საათზე საქალაქო რაიონულ კომიტეტის შენობაში შესდგება ამავე რაიკომის პირველი საფეხურის პოლიტსკოლის ხელმძღვანელთა თათბირი.

ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გიორგაძე, ტაბიძე, ნერსესიანი, ანანინი, ივანოვი, გრიშინი, კაჭარავა, დუმბაძე, გოზალიშვილი, გარიტკო, ტოგრაზოვი.

საქალაქო კომიტეტი.

პარასკევს, 10 მარტს დილის სრულ 10 საათზე ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება ა.-კ. კომუნივერსიტეტის უჯრედების ბიუროს სხდომა იმ კომისიასთან ერთად, რომელმაც გამოიკვლია უჯრედის მუშაობა.

ბიუროს და კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება

თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელი ქვე განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ზემოხსენებულ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან:

1) თოდრია სოლომონი, 2) გელაშვილი სერგო სპირიდონისძე, 3) როსტომაშვილი დავით მიხეილისძე, 4) ხრისტოშკინი სერგეი თედორესძე.

პროფკავშირებში

ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობას, სამაზრო პროფკავშირებს და პროფსაბჭოებს

ა. წ. მარტის 21-ს საქართველოს წითელი არმიის არსებობის ხუთი წლის თავი სრულდება.

რათა წითელი არმიის ხუთი წლის არსებობის აღსანიშნავ დღესასწაულში პროფკავშირთა წევრების ფართო ფენები იქნეს ჩაბმული, პროფკავშირებს მართებთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ყველა გამოყოფილ პარტიულ და სამხედრო კომისიებში, აღმოუჩინონ მათ ყოველმხრივი დახმარება როგორც მოსამზადებელ მუშაობის, ისე დღესასწაულის ჩატარებაში.

წარმოებებში და დაწესებულებებში გამართულ პროფკავშირთა წევრების საერთო კრებებზე უნდა მოეწყოს საგანგებო მოხსენებები საერთოდ ს. ს. რ. კავშირის წითელი არმიისა და კერძოთ ცალკე ეროვნულ რესპუბლიკების წითელი არმიის აღმშენებლობის შესახებ.

საქართველოს წითელი არმიის ხუთი წლის არსებობის აღსანიშნავად კლუბებმა და წითელმა კუთხეებმა უნდა მოაწყონ საგანგებო საღამოები, შესაფერისი მოხსენებების წაკითხვით.

ამასთანავე დიდ კლუბში ამ დროისათვის უნდა მოეწყოს სამხედრო და სასროლი წრეები და შესაფერისი გამოფენები, რომლებიც წითელი არმიის მიღწევებს გამოააშკარავებენ.

ბიბლიოთეკებმა უნდა შეარჩიონ შესაფერისი ლიტერეტურა ფართო მასების რეკომენდაციისათვის.

შეძლებისდაგვარად საჭიროა აგრეთვე კედლის გაზეთის საგანგებო ნომრების გამოშვება.

ს. პ. კ. ს. პ.-მგ. მდივნის მაგიერ— **ჭელიძე.**

საქმეთა მმართველი: **ქადეიშვილი.**

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მესამე ყრილობა

ბაქო, 17 მარტი. 16 მარტს, შრომის სასახლეში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მესამე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სემკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ყრილობის ადგილათ ბაქოს არჩევა კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, თუ რა ყურადღებით ეპყრობა ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობის უზენაესი ორგანო ფედერაციის ცალკე რესპუბლიკების პროლეტარიატს.

ყრილობის წინაშე, რომელიც შეიკრიბა სამეურნეო აღორძინების პერიოდში, ინტერნაციონალურ სოლიდარობის და ნაციონალური მშვიდობიანობის საერთო ამოცანებს გარდა, სდგას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა: შემუშავებულ უნდა იქნეს გზები ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მონაწილეობისა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ამხ. სემკოვი ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით ესალმება ა.-კ. პროლეტარიატს და პირველ რიგში აზერბეიჯანის პროლეტარიატს.

საქმიანი პრეზიდიუმი არჩეულ იქნა 33 დელეგატისაგან.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან: ტომსკი, სტალინი, რიკოვი, კალინინი, ტროცკი, ზინოვიევი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, აგამალი-ოღლი, კიროვი და მუსაბეკოვი. საპატიო პრეზიდიუმის არჩევას ყრილობა მხურვალე ოვაციებით ეგებება.

საკავშირო ცაკის, საკავშირო კომპარტიის, ა.-კ. საოლქო კომიტეტის და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. მუსაბეკოვი.

„ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობა— ამბობს ის—იკრიბება ისტორიულ მომენტში, როცა ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა ომამდე არსებულ დონემდეა მიყვანილი. მაგრამ ეს არ არის საკმაო. ჩვენს წინაშე სდგას უფრო რთული ამოცანა ა.-კ. ფედერაციის ინდუსტრიალიზაციისა.

სამრეწველო წარმოებათა მოწყობა შეიძლება მხოლოდ საერთო ძალღონით.

სოფლის მშრომელთა ახალი რაზმების ჩაბმა ცენტრალურ მრეწველობაში მოითხოვს განსაკუთრებით ყურადღებას ამ რაზმისადმი კომუნიზმის სკოლის გაუვლელობის გამო“.

შემდეგ ყრილობას საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სახელით მიესალმა ამხ. მელნიჩანსკი, რომელმაც დაახასიათა ა.-კ. პროფკავშირების მდგომარეობა და აღნიშნა უახლოესი ამოცანები, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა და სხვ. შემდეგ მელნიჩანსკი შეეხო იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროფაქტივის კულტურულ ზრდას.

შემდეგ ყრილობის მიერ მოსმენილ იქნა მისალმებები საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პროფკავშირების და ბაქოს მუშების წარმოსადგენელთაგან.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ნიკოლოზ და მარიამ გოგეშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 16 მარტს, ღამით გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ეთერი

გამოსვენება დღეს, 18 მარტს, დღის 12 საათზე, თეატრის შესახვევიდან № 1, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. უფ.

სერგო დოლიძე ულრმეს მადლობას სწირავს მეგობრებს, ნაცნობთ, ნათესავებს იმ თანაგრძნობისათვის, რომლებმაც პირადათ, დეპეშით თუ წერილობით გამოსთქვეს მწუხარება ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე და ცხოვრება-დაუსრულებელ, ჩემთვის ძვირფას მეუღლე

ცაციას

დაკარგვის გამო. 1892 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვარლამ (ვალიკო) პეტრეს-ძე დოლიძე შვილებით ლუტუ და ოთარი, დებით—მარიამი და გალინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის უსაყვარლეს და ძვირფას

ნინა სპირიდონის ასულის დოლიძის

გარდაცვალებას ღამით 13 გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, 18 მარტს, 1 საათ. გერმანელების საავადმყოფოდან კამოს ქუჩა № 54. დაკრძალვა მოხდება დიდუბის გალავანში. 1873 3—3

მათხოჯის სახალხო სახლის აღმშენებელი საბჭო გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ამავე საბჭოს თბილისის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვალიკო დოლიძეს მის საყვარელ მეუღლისა და კარგი მეგობრის

ნინა დოლიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო

მათხოჯლები დღეს, შუადღის 12 საათზე, შეიკრიბებიან ამხ. ბიქტორ მელაძესთან (ახალი ბაზარი, აბასთუმანის ქუჩა), საიდანაც გვირგვინით გაემგზავრებიან გერმანელების საავადმყოფოში ცხედრის გამოსასვენებლად.

დაკრძალვა დიდუბეში, ნაშუადღევის 1 საათზე.

1—1 ქ. 1898

მუშკოოპის თანამშრომელთა ადგილკომი აუწყებს მუშკოოპის ყველა თანამშრომლებს ადგილკომის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ვარლამ დოლიძის მეუღლე

ნინო სპირიდონის ასული დოლიძის

გარდაცვალებას. გასვენება გერმანელების სამკურნალოდან (კამოს ქ. № 54), დღეს, 18 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, დაკრძალვა დიდუბის გალავანში. 1894 1—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტობა ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ქალ. ფოთში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

ვლადიმერ (ვალოდია) კოპალეიშვილი

დაკრძალვა ქ. ფოთში, 18 მარტს. 1897 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლეონტი ზაქარიას-ძე ფოცხვერია შვილებით—გივი, ირაკლი და თინიკოთი, მული ლიზა, დედა ბარბარე ჩხენკელისა, ძმები გიორგი, ნოე და პლატონი ჩხენკელები, რძლები—ტერეზე და ბაბო შვილებით: ვალერიანე, ლეონი, ივანე, ნინა, რევაზი, ბაჟულია, ბუჭი და მერი ჩხენკელები, და ასმათი ამერანიშვილისა, სიძე იასონ ამერანაშვილი შვილებით: შალვა, ბარბარე, დათიკო, ნინა, მარო და ტუტუთი, დისშვილი თამარა იასონის ასული ჯაფარიძისა და სიძე პარმენ ჯაფარიძე, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 მარტს, ს. ჰაგანში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსანდრა სოლომონის ასული ჩხენკელი-ფოცხვერიასა

დაკრძალვა მოხდება 20 მარტს, შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფ. ჰაგანში. 1895 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამა ლევანი, დედა ლიზა ხუციშვილები, პაპა ივანე ქუმსიშვილი, მამიდა ლიზა პაპიძისა და ბიძია ბექან ხუციშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 მარტს უდროოდ გარდაიცვალა პირველების შვილი, მეორის შვილის-შვილი და უკანასკნელთა ძმის წული, მათთვის ძვირფასი და საყვარელი პატარა

ბიჭიკო (თენგიზ) ლევანისძე ხუციშვილი

გამოსვენება მოხდება დღეს, 18 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, საკუთარი ბინიდან მალაკნის ქუჩა № 9. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 № 1.893

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მოსამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინაღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0 5 მთავარი კანტორა

სააქციონერო საზოგადოების

„პურის პროდუქტის“

„ХЛЕБОПРОДУКТ“

აჭარისტანის სააგენტო

ჰყიდის: ყველა ხარისხის ფქვილს, პურის საკვებავ მასალას ყოველნაირ ბრინჯს შაქარს ფხვნილს და რაფინადს სხვადასხვა ბურღულს.

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის შეღავათიანი პირობები და დაკლებული ფასები.

კანტორის მისამართი 25 მარტიდან—მე-3 ინტერნაციონალის და კარლ ლიბკნეხტის (ყოფილ მარინის და ერისთავის) ქუჩ. კუთხე. ყოფ. შაქრის ტრესტის შენობა. ლენინის ქ. № 30 | 32. ნ. 921 2—1

აპოლლო
არტისტიკო
სოლეი

ახლად ამ სეზონში

მეამბოხე ქალი

კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტრილის მონაწილეობით.

ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი“

3 და 4 სერია

მსოფლიო შედევრი

„ნიბელუნგები“

(კრიმგილდას შურისძიება)

1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ.
2-რე—9 საათზე
სალარო ღიაა 4 ნახ. საათიდან.

0—13 ნ. 869

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ „კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 84
ტელეფონი № 10—49

ს. ს. რ. კ.
საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სააგენტო

ბათომი, შმიდტის ქ. № 2.

კისრულობს შემდეგ დავალებათა შესრულებას,

ტვირთების გადაზიდვა ზღვით, რკინის გზით და ურმებით.

საბაჟო და სხვა ფორმალობათა შესრულება საქონლის სათანადო დეკლარაციით.

საზღვარ გარეთ ზღვით მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გზიდვა ყველა მიმართულებით.

ტვირთების შენახვა საკუთარ საწყობებში,

ტვირთების დაზღვევა გზაში მომხდარ უბედურებისა და ცეცხლისაგან.

ექსპედიციასთან დაკავშირებული ყოველგვარი დავალებანი.

აქვს საკუთარი სააგენტოები ყველა საკვანძო რკინის გზის სადგურებში და ნავთსადგურებში რუსეთში და საზღვარგარეთ. ნ. 920 1-1

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“



ავადმყოფობათა წამალი

პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის მიხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართული ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 1362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალებით მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის ნერვების აშლილობას ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის ღონეობას, ბიბერისგან დაავადებას, სასქესო სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მიდრეკ ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM
SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН МОСКВА“
в МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს“ ა.-კ. წარმომადგენლობა, ტფილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. коопер. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. ნ.862 0—5.

რუსთაველის თეატრი:

შაბათს, 20 მარტს,

დეზერტირკა

კვირას, 21 მარტს,

ლამარა

ნ. 913 5—3

ბათომის საქონლის და საფონდო
ბირჟა

კამოს ქ. № 5 (მეჩეთის პირდაპირ)

აწარმოებს სავაჭრო ოპერაციებს, როგორც ადგილობრივ, ისე ქალაქის გარეშე ბაზრებზე.

საექსპორტო ბიურო ბირჟასთან ახდენს ყოველგვარ საქონლის და პროდუქტების ექსპერტიზას და ანალიზს. ნ. 916 1—1

თბილისის კომუნალურ ბანკის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 მარტს 1926 წ. დილის 11 საათზე ივანიძის (ყოფილი აკიმოვის) ქ. სახ. № 34. ნიკოლოზ ბალდასაროვის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბალდასაროვის კუთვნილ სახლის ავეჯეულობის გასასყიდათ.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება კომუნალურ ბანკში სესხის განყოფილებაში.

ნ. 929 1—1

ამით ეცნობება დაინტერესებულ პირებს და დაწესებულებებს,

რომ აჭარისტანში დაარსდა განყოფილება ამიერკავკასიის სააქციონერო საზოგადოების

„ზაკპოგრუზ“-ის,

რომელიც ისახავს მიზნად დატვირთვა-გადმოტვირთვის წარმოებას როგორც ნავთსადგურებში, ისე ქალაქების და რკინის გზის ლიანდაგის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ასრულებს საბაჟოებში საარტელო სამუშაოებსაც.

აჭარისტანის „ზაკპოგრუზის“
განყოფილების გამგე **მ. ახალაძე.**
ბუღალტერი **ომიაძე.**
1-1 ნ. 924 საქმეთა მმართველი **ჯანუაშვილი.**

აჭარისტანის ა.ს.ს.რ. სასოფლო-სამეურნეო

ბანკი

ლენინის ქუჩა № 9 აწარმოებს ბანკის წესდებით ნება დართულ ყველა ოპერაციებს:

1. ფულის მიღება სახელდახელო ანგარიშზე და შესანახად წლიური 6—8 პროც. დარიცხვით.
2. ფულის გადაგზავნა საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში.
3. აკრედიტივის გაცემა და მიღება.
4. თამასუქების და სხვა ვალდ. განაღდება.
5. ინკასო თამასუქების და საბუთების.
6. საშუამავლო ოპერაციები და საკომისიო მინდობილობა.
7. სესხები სას. სამ. მიზნით და სხვა.

1—1 ნ. 918

სახელმწიფო ოპერა:

19 მარტს, **ურიის ქალი**
20 მარტს, **ჰოფმანის ზღაპრები**
21 მარტს, **სანდრო ინაშვილის გასტროლი,** დაისი
23 მარტს, ცნობილ ბანის **გრიგორი პიროგოვის** გასტროლი, ბორის გოდუნოვი

5—2 ნ. 927

ს. ს. რ. კ.

სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო სავაჭრო კანტორა

„ЗАКГОСТОРГ“

საბჭოთა კავშირის საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან ამიერკავკასიაში

ბათომის განყოფილება

შმიდტის ქ. № 2. ტელეფ. №№ 41 და 168

ყიდულობს ბეწვეულს

ნ. 919 1—1

თბილისის კომუნალურ ბანკის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 მარტს, 1926 წ. შუადღის ორ საათზე სომხის ბაზარში № 62 კომუნალურ ბანკის საწყობში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თეატროზ კალამანოვის კუთვნილ 11 ყუთი ფანერას გასასყიდათ. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება კომუნალურ ბანკში სესხის განყოფილებაში.

ნის. 929 1—1

აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო
„АДЖАРТОРГ“

ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ორშაბათს 1926 წ. 22 მარტს ქ. ბათომში აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოს ტექნიკურ საწყობში

განმეორებითი

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება სხვადასხვა ძველი მასალები და მანქანები

1. სხვადასხვაგვარი პრესები, 2. მილები, ქურო და მუხლები მილებისათვის, 3. რელსები, 4. ფოლადი, 5. მამოძრავებელი მანქანები, 6. ორთქლის ქვაბები, 7. სხვადასხვა დაზგები, 8. ცეცხლის საქრობი მოწყობილობა (მოწყობილობის მთელი კომპლექტი), 9. ჭანჭიკები, ქანჩები, რახნები, საყელურები, 10. წყლის საზომის შუშები, 11. ქუროები და ფუნაგირები, 12. სხვადასხვაგვარი ღვედები, 13. თუჯის გირები, 14. ავტომობილების ნაწილები, 15. ბორბლები (ШКИВЫ) და ქნევარები, 16. კოჭები, ჯაჭვები და სხვა მრავალი მასალები.

საჯარო ვაჭრობის დასაწყისი დილის 12 ს.

სახელმწიფო დაწესებულებებს
უპირატესობა

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოში: ბათომი, კამოს ქ. № 5. მისამართი დეპეშებისათვის: ბათომი, აჭარისტანის ვაჭრობა („Аджарторг“).

აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო

2—1 ნ. 915

სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის ფონდების აღრიცხვის და რეალიზაციის ბიუროს რწმუნებული კავკასიის წითელდროშოვან არმიის რაიონში

აცხადებს ყველა

სახელმწიფო წარმოებების
და
სახელმწიფო მრეწველობათა

საყურადღებოთ, რომ აღმრიცხავ ბიუროში გასასყიდათ შემოვიდა დიდი რაოდენობის **მსუბუქი და საბარგო ავტომობილები, მოტოციკლეტები და მათი ნაწილები.** ქონების დასათვალიერებლად და ცნობების მიხაღებათ უნდა მიმართოთ ბიუროს რწმუნებულს სამშაბათობით და პარასკევობით, უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დან 11 საათამდე (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 10)

3—3 ნის. 903

თბილისის კომუნალური
ბანკის

ბათომის განყოფილება

აწარმოებს ყველა საბანკო ოპერაციებს:

მიღება თანხებისა დებულით, ვადით, უვადოთ და მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვით. ფულების გადაგზავნა და აკრედიტივების გაცემა. ყოველგვარ საქონლის შეძენა მონდობილობით და მესამე პირთა ანგარიშით. თამასუქების განაღდება, სესხის გაცემა საქონლის, საქონლის საბუთების, თამასუქების და სხვა ვალდებულებათა გირავნობით. სესხის სარემონტო და საამშენებლო.

ნ. 917 1—1

სრულიად საკავშირო საფეიქრო
სინდიკატის

ბათომის განყოფილება

ბათომი, სტალინის ქ. № 6.

ჰყიდის საფეიქრო ტრესტების პროდუქციას: აბრეშუმის, ბამბის, ტრიკოტაჟის ნაწარმოებს, ძაფებს და სხვა.

კოოპერაციისა და სახელმწიფო მომხმარებელთათვის შეღავათიანი პირობები, საქონელი იყიდება აჭარისტანში, აფხაზეთში და ოზურგეთის რაიონში.

ნ. 923 1—1

ა.-კავ. რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ **1926 წელს 30 მარტის** დილის 10 საათიდან თბილისში სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინის გზის ხაზის მახლობლად)

აუქციონით გაიყიდება

ა. კ. რკინის გზის სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები და ბარგები

პირველი საჯარო ვაჭრობის შემდეგ გაუყიდავად დარჩენილ ტვირთების გაყიდვის დამთავრებისა და ხელახლათ საჯარო ვაჭრობის დაწყების დროს გამოაცხადებს კომისია, რომელიც ვაჭრობას ხელმძღვანელობს.

ქვემოდ აღნიშნულია საბარგო ფურცლების ნომრები, ტვირთის სახელწოდება, ადგილების რიცხვი და წონა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სალიკვიდაციო საწყობში, თბილისში, სამუშაო დღეს, ხოლო ვაჭრობის დღეებში მის დაწყებამდე.

1. მოუკითხავი ტვირთები

№ 25 284—რკინეულობის ნაწარმოები 1 ად. 32 კილოგ., № 246702—სახვევი ქაღალდი 1 ად. 43 კილოგ., № 49263—ფიჭვის და ნაძვის თესლები 2 ად., 71 კილოგ., № 19218—სხვადასხვა გვარი ქაღალდი—3 ად. 64 კილოგ., № 165709—კნოპკები 1 ად. 28 კილოგ, № 131800—ბრისტოლის კარდონი 1 ად. 135 კილ., № 5103 პორტლ. ცემენტი 1 ად., 161 კილოგ., № 7959—წისქვილის ქვები, 2 ად. 655 კილოგ., № 22641—გრეხილი ავეჯი 2 ად. 20 კილოგ., № 202737—საოჯახო ნივთები—2 ად. 162 კილოგ., № 220370—თუნუქის ცარიელი ბანკები, 1 ად., 25 კილოგ., № 12298—ქაღალდის ნაწარმოები 3 ად. 224 კილოგ., № 12305—საწერი ქაღალდი, 3 ად. 267 კილ., № 239384—საოჯახო ნივთები, 1 ად., 12 კილოგ., № 762—ლვ. ქვა 31 ად., 2185 კილოგ., № 139678—შუშის ცარიელი ჭურჭელი, 12 ად., 285 კილ., № 155506—სხვადასხვა ნივთები 8 ად., № 138981—ბალონი, 1 ადგილი, 55 კილოგრ., № 139380—წიგნები 1 ად., 70 კილოგ., № 373133—პურის ფქვილი 1 ად. 82 კილ., № 8810—ბორბლის მაზი, 1 ად. 140 კილ., № 135815—პორტლ. ცემენტი 3 ად., 490 კილ., № 173717—პურის ფქვილი, 219 ად. 16007 კილ., № 136275—რკინის ნიჩბები და ხის სახელურები 2 ად. 47 კილ., № 14541—ხის ფორმები, 15 ად 347 კილ., № 38297—მზესუმზირას თესლი 1 ად. 30 კილ., № 41751—ხის კასრები 1 ად. 27 კილ., № 3368—ხის ყუთები 6 ად. 100 კილ., № 9182—ფორმალინი 2 ად. 220 კილ., № 19111—ფანჯრის მინები 1 ად. 56 კილ., № 36196—დახერხილი ხე-ტყის მასალები 1 ვაგონი 8924 კილ., № 17956—თუთიის სათეთრებელი 20 ად. 563 კილ., № 17930—თუთიის სათეთრებელი, 30 ად., 845 კილ., № 17896—თუთიის სათეთრებელი 20 ად., 564 კილ., № 18832—თუთიის სათეთრებელი 20 ად., 564 კილ., № 24969—ხის კასრები 7 ად., 140 კილ., № 233171—ძველი ფეხსაცმელი 1 ად. 53 კილ., № 126539—თუჯის ღუმელის კარები—25 ად., 313 კილ., № 112965—მიწქაფა (პემზა) 1 ადგილი, 20 კილოგ., № 16629—კარამელი 2 ადგილი, 60 კილოგ., № 124924—ავტომობილის ნაწილები—1 ადგილი 16 კილოგ., № 66690—კარზინები 102 ადგილი 403 კილოგ., № 22820—რელსები 5 ადგ. 196 კილოგრ., № 22736—პრესის ნაწილები 22 ადგ. 1716 კილოგ., № 230144 ქაღალდის შპალერი 637 კილ., № 230138 ქაღალ. შპალერი 8 ადგ. 565 კილ., № 230314 ქაღალ. შპალერი 9 ადგ. 639 კილ., № 18199—საკანცელარიო კალმისტარები 2 ადგ. 30 კილ., № 37243—კნოპკები 1 ადგ. 79 კილ., № 372432—კნოპკები 1 ადგ. 64 კილ., № 104112 ხორბლის ფქვილი 1 ადგ. 62 კილ., № 281764—ტყვია 4 ადგ. 282 კილ., № 230327 ქაღ. შპალერი 8 ადგ. 537 კილ., № 15493—რკინის შაბიამანი 2 ადგ. № 11547—ჩექმები 1 ადგ., № 121 ღვინო 20 ადგ. 1754 კილოგრ., № 680 საგალანტერიო საქონელი 4 ადგ. 350 კილ. № 138271—მახორკა 3 ადგ. 177 კილ., № 39612—სიმინდის ფქვილი 1 ადგ. 27 კილ., № 141946 მანქ. ნაწილები 3 ადგ. 505 კილ., № 3841 ჩლა 9 ადგ. 711 კილ., № 141945—მანქ. ნაწილები 5 ადგ. 526 კილ., № 144655 სახელურები 2 ადგ. 77 კილ., № 64770 ჭირის საწინააღმდეგო შრატი 7 ადგ. 524 კილ., № 105491 აფთიაქის საქონელი 1 ადგ. 48 კილ., № 10912 სალებავი 3 ადგ. 340 კილ., № 120737 საეტიკეტო ქაღალდი 1 ადგ. 44 კილ., № 18187 ლამპის ნაწარმოები 2 ადგ. 107 კილ., № 24766 საკანტორო წიგნები 1 ადგ. 33 კილ., № 31239 ხრომის ტყავი 1 ადგ. 98 კილ., № 61037 კალათები 8 ადგ. 46 კილ., ბურბუშელა 2 ადგ. 9 კილ., № 107944 ავტომობილის შინები 1 ადგ. 28 კილ., № 4508 ხის ბორბლები 2 ადგ. 98 კილ., № 18188 ლამპის ნაწარმოები 2 ადგ. 96 კილ., № 35458 წიგნები დაბეჭდილი 1 ადგ. 39 კილ., № 70900 ავტ. რეზინის ნაწილები 2 ადგ. 51 კილ., № 16486 ფანერის ფიცრები 2 ადგ. 90 კილ., № 43502 ბამბუკის საწოლი 1 ადგ. 19 კილ., № 258793 ქაღ. სურათები 82 კილ., № 13642 რვეულები 2 ადგ. 145 კილ., № 17312 საწერი ნივთები 2 ადგ. 168 კილ., № 16603 კანტორის წიგნები, № 6829 რუსული ლუდი 2 ადგ. 167 კილ., № 43545 ავტომობილის მოტორი 1 ადგ. 39 კილ., № 17313 საწერი ნივთები 1 ადგ. 106 კილ., № 6834 ლუდი 3 ადგ. 260 კილ., № 6833 ლუდი 2 ადგ. 172 კილ., № 16403 ქაღ. შპალერი 4 ადგ. 390 კილოგრ., № 31218 დამუშავებული ტყავი 1 ადგილი 47 კილოგრამი. № 42572 მზესუმზირას თესლი 2 ადგ. 42 კილ., № 72727 - მზესუმზირას თესლი 1 ადგ. 20 კილოგრ., № 8749 ხორბალი 16500 კილ, № 814617 ავტომობ. შინები 25 ადგ., № 108273 დაბეჭდილი წიგნები 1 ადგ. 33 კილოგრ., № 9885 ჟურნ. 1 ადგ. 18 კილ., № 168980 წიგნები 7 ადგ. 390 კილოგრ., № 9884 ჟურნ. 1 ადგ. 14 კილ., № 9891 ჟურნ. 1 ადგ. 13 კილ., № 126700 დაბეჭდილი წიგნები 1 ადგ. 43 კილ., № 337473 საბჭოთა ღერბები 1 ადგ. 10 კილ.

2. მოუკითხავი ბარგი

№ 543500—ჟურნალები 1 ადგ. 2 კილ., № 30335—ბარგი 1 ადგ. 5 კილ., № 545794 ლიტერატურა 1 ადგ. 6 კილ., № 545484 ლიტერატურა 1 ადგ. 3 კილ., № 2595 ლიტერატურა 1 ადგ. 26 კილ. № 111449—ბარგი 1 ადგ. 19 კილ., № 94790 ბარგი 1 ადგ. 32 კილ., № 33684—ბარგი 2 ადგ. 29 კილ., № 75822 ბარგი 2 ადგ. 83 კილ., № 200071 ბარგი 1 ადგ. 73 კილ., № 153365—ბარგი 1 ადგ. 42 კილ., № 26409—ბარგი 3 ადგ. 34 კილ., № 27756 ბარგი 2 ადგ. 86 კილ., № 142171 ბარგი 2 ადგ. 65 კილ., № 24861 ბარგი 1 ადგ. 14 კილ., № 75957 ბარგი 1 ადგ. 26 ნახ. კილ., № 37933—ბარგი 1 ადგ. 9 კილ., № 53107 ბარგი 1 ადგ. 20 კილ., № 6602 გაზეთები 1 ადგ. 32 კილ., № 37934 ბარგი 1 ადგ. 20 კილ., № 184822 ბარგი 1 ადგ. 41 კილ., № 5963 ბარგი 1 ადგ. 45 კილ., № 675 ბარგი 1 ადგ. 120 კილ., № 304250 ბარგი 3 ადგ. 72 კილ., № 36765 ბარგი 1 ადგ. 13 კილ., № 79105—2 ადგ. 85 კილ., № 435066 ბარგი 1 ადგ. 35 კილ., № 17153 ბარგი 2 ადგ. 21 კილ., № 3958 ბარგი 3 ადგ. 78 კილ., № 40358 ბარგი 1 ადგ. 32 კილ., № 244628 ბარგი 1 ადგ. 17 კილოგრამი.

3. უდოკუმენტო ტვირთები

№ 12727—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 29 კილო, № 12726—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 53 კილოგ., № 12728—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 58 კილო, № 12730—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ. 46 კილ., № 12729—წიგნ. დაბეჭდ. 1 ადგ 32 კილოგ., № 52—ლიტერატურა—1 ადგ. 17 კილოგ., № 169.352—ნაპოვნი ნივთ. 2 ადგ. 32 კილოგ., № 5—ნაპოვ. ნივთ.—1 ადგ. ნახ. კილოგ., № 6—ნაპოვ. ნივთ. 1 ადგ. 4 კილ., № 7—ნაპოვ. ნივთები—1 ადგ. 7 კილოგ., № 88873—ბიდონი—1 ადგ. 15 კილოგ., № 167417—ნაპოვ. ბარგი—2 ადგ. 16 კილო, № 38568—ნაპოვ. ნივთ. 1 ადგ. 2 კილოგრ., № 1690—სხვადასხვა—1 ადგ. 71 კილოგრ., № 108257—ნაპოვნი ნივთ.—1 ადგ. 13 კილოგრ., № 38 ნაპოვნი ნივთ.—1 ადგ. 2 ნახ. კილოგრ., № 32—სხვადასხვა 2 ადგ. 10 კილოგრ., № 23—ბოჭკები—რკინის—2 ადგ. 180 კილოგრ. № 135—ნაპოვნი ნივთ.—1 ადგ., № 47—ფქვილი—1 ადგ. 66 კილოგრ., № 355—ფქვილი—2 ადგ. 223 კილოგრ., № 284—ფქვილი, 2 ადგ. 131 კილოგრ., № 12036—შეშა მაგარი ჯიშის 1 ვაგ. 3380 კილოგ., № 38770—ნაპოვნი ნივთი. 1 ადგ. 5 კილოგრ., № 397—„ობიჩაიკები“—2 ადგ. 9 კილოგრ., № 50—გალია ქათმებისათვის—1 ადგ. 19 კილოგრ., № 47 - ნაპოვ. საქონ.—1 ადგ. 46 კილოგრ., № 31401—მატყლი თხის—1 ადგ. 47 კილ., № 8158—გუთანი რკინის—1 ადგ. 34 კილოგრ., № 15283—ნაპოვნი ნივთ.—1 ადგ. 33 კილოგრ., № 49720—ღვინო—1 ადგ. 73 კილოგრ., № 15282—ნაპოვ. ნივთ. 1 ადგ. 12 კილოგრ., № 513—ნაპოვნი ნივთ.—2 ადგ. 20 კილოგრ., № 53—ფქვილი ხორბლის—25 ადგ. 1714 კილოგრ., № 59—ნაპოვნ. ნივთ. 3 ადგ. 150 კილოგრ., № 157—გოგირდის მჟავა—1 ადგ. 63 კილოგრ., № 535—ხის ყუთები 2 ადგ. 29 კილოგრ., № 536—ხის ყუთები—2 ადგ. 18 კილოგრ., № 3201—სხვადასხვა 3 ადგ. 44 კილოგრ., № 5098 ნაპოვნ. ბარგი—1 ადგ. 14 კილოგრ., № 12052—ნაპოვ. ნივთ.—2 ადგ. 32 კილოგრ. № 12052—ნაპოვ. ნივთი—2 ადგ. 32 კილოგრ.

აჭარისტანის
მთავარი
საკურორტო
სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ქობულეთში 5 ½ ვერსის მანძილზე არსებობს სააგარაკო ადგილები შენობებით და ტროპიკული მცენარეებით. ოთახები ქირავდება წლის ყოველი დროისათვის. იქვე მდებარეობს კარგად მოწყობილი მთელი პანსიონით სანატორიუმი. სეზონი მთელი წლის განმავლობაში.

ბათომში ბაღის მახლობლად 1 მაისიდან გაიხსნება ზღვის სამკურნალო აბაზანები ასტალის ტალახით და ზღვის ცივი აბანოები.

ფასები როგორც სანატორიუმებში, ისე აბაზანებში და აბანოებში ყველასათვის მისაწვდომია

აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო

1—1 ნ. 922

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო

ამხანაგობა
„აჭარწარმოკავშირი“

კამოს ქუჩა № 7

აწარმოებს სოფლის ნაწარმოების დამზადებას: სახელდობრ—თამბაქოს, თხილის, ხილეულობისა და სხვა ნედლეულობის.

თავის წევრებს აძლევს ავანსებს. მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის კულტურულად გადამუშავებას.

1—1 ნ. 925

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური დამთვლელი მანქანა

დაწესებულებათა, წარმოებათა, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, სამეცაიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კონტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოთ. ყველასათვის იდვილად მისაწდომი ენერგიის დაუხარჯავათ; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფათ. საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. გ მოიგზავნება დაუყოვნებლივ შეკვეთის და 45 კაპიკის მიღებისთანავე. ჰ მა ეთამდე შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით. ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.

გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნეს 15 კაპიკი.

შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, პოკროვსკის ბაღი, სახ. № 14 | 6. ბინა 8. ავტორს ა. ი. ცუკერშტეინს.

ნ. 896 8—3

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 22 მარტს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 11, რტიშჩევის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მარიამ იაგუბოვის მოძრავ ქონებას: შრედერის როიალს, შეფასებულს 250 მანეთად, ეგნატე გაბლიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 თებერვალს 1926 წ. თარილით, № 312 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1899 1—1

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ბესარიონ ნოესძე ჩიგოგიძეს სახელზე. ჩ. გ.

1889 1—1

დაიკარგა სააქციზო სამმართველოდან მოცემული ღვინის ჩამოსატანი მოწმობა 600 ვედროსი, № 11832 სიმონ ყაზაროვის და ნიკოლოზ აჯიმამუდოვის სახელზე. ჩ. გ.

1891 1—1

დაიკარგა თამასუქი 143 მან., ვალდებულობა საჯ. ნახევარი შეშის, შუამდგომლობა უფასო პატენტის მიცემისათვის, მოწმობა ექ. შრომის უნარმოკლებულობის № 345, სიღარიბის მოწმობა № 89 ვასო ჭყონიას სახელზე. ჩ. გ.

1890 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სიღარიბის მოწმობა, გლეხკომის მოწმობა, ექიმის მოწმობა და სამეურნეო გადასახადის მოწმობა გიორგი ფირანისძე ღირდალაძეს სახელზე, ჩ. გ.

1896 1—1

დაიკარგა პასპორტი სურათით, ნიგვზის ხის სავაჭრო მოწმობა, თამასუქი სამი ცალი შვიდასი მანეთის, ქვითარები და ანგარიშების ქაღალდი ანტონ მორგველაშვილის სახელზე, ჩ. გ.

1896 1—1

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 11572 ვასილი გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ.

1901 1—1

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 26459 პეტრე ხუცილავას სახელზე, ჩ. გ.

1902 1—1

დაიკარგა წიგნაკი რკ. გზ. ტრანსპორტის კოოპერატივის ე. დ. ზაკტეპოსი № 26345 გლადიმერ მ. პოხენელიძის სახელზე, ჩ. გ.

1900 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა

ტირაჟი—25.543